შენობების განლაგება

E კორპუსი

- კანცელარია (I სართული)
- განვითარების სამსახური (I სართული)
- საგარეო ურთიერთობის სამსახური (II სართული)
- "უნიფუდი" (I სართული)
- ბიზნესის სკოლის ადმინისტრაცია და სასწავლო სივრცე (II, III, IV სართ.)
- ილიას დარბაზი (II სართული)
- ბიბლიოთეკის კომპიუტერული რესურსცენტრი (E 307)
- სტუდენტური სივრცე (-I სართული)

G კორპუსი

- საკონფერენციო დარბაზი G 106 (I სართული)
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სასწავლო სივრცე

F კორპუსი

- რექტორატი (II სართული)
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ოფისი (II სართული)
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია: სამსახურები და სერვისები

H კორპუსი

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის ადმინისტრაცია
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის სასწავლო სივრცე
- კომპიუტერული თამაშების ლაბორატორია (GAMELAB ILIAUNI)

S კორპუსი

- მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია (FABLAB ILIAUNI)
- ავსტრიული ცენტრის დარბაზი (S 506)
- იტალიური ცენტრის დარბაზი (S 501)
- აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი (IV სართული)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი

დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია



2 დეკემბერი, 2016

წელს, დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან 130 წლის იუბილეს აღნიშნავს. 2 დეკემბერს იმართება სამეცნიერო კონფერენცია, სადაც წარმოდგენილია ოცდაათამდე მოხსენება და პოსტერი ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულებაში. ესენია: განწყობის თეორია, პიროვნების, სოციალური, განათლების და კლინიკური ფსიქოლოგია.

კონფერენციაში ქართველ ფსიქოლოგთა სხვადასხვა თაობა მონაწილეობს, მრავალი მონაწილე ახალგაზრდაა და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა პოსტერების სახით წარმოადგინონ თავიანთი ნაშრომები.

წინამდებარე პროგრამა ყველა მონაწილის აბსტრაქტს წარმოგიდგენთ. კონფერენციის შემდგომ გამოიცემა სტატიების კრებული, რომელშიც შერჩეული სგვენეტატატიები შევა.

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, დიმიტრი უზნაძის მიერ დაწყებული ფსიქოლოგიური კვლევის ტრადიციები გრძელდება. დარწმუნებული ვართ, რომ კონფერენცია ბევრ საინტერესო და ღირებულ იდეას გაგაცნობთ.

კონფერენცია ტარდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის მხარდაჭერით.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ირაკლი ქავთარაძე, პროექტის „დიმიტრი უზნაძის მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაცია და განვითარება“ კოორდინატორი;
მაკა ლორთქიფანიძე. დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის თანაშემწე/მკვლევარი;
ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული ექსპერტი დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
რუსუდან მირცხულავა, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული ექსპერტი დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
მარინე ჩიტაშვილი, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული ექსპერტი დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი;
დალი ფარჯანაძე, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მოწვეული ექსპერტი დ. უზნაძის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი.

დღის წესრიგი

საერთო სესიები - G106 აუდიტორია

მოდერატორი - პროფესორი მარინე ჩიტაშვილი

10:00-10:15	კონფერენციის გახსნა
10:15-10:30	დ. უზნაძე, როგორც ხელოვნების მკვლევარი **რუსუდან მირცხულავა**
10:30-10:45	უზნაძის ფიქსირებული განწყობის ეფექტი და ცვლილების პოტენციალი ცხოვრების გამოწვევების კონტექსტში **ქეთევან მაყაშვილი, ბარბარე ჭკუასელი, თამარ ხაჩიძე**
10:45-11:00	საკვლევი ინსტრუმენტების ვალიდაცია **ნინო ჯავახიშვილი, ნინო სხირტლაძე, მაკა ლორთქიფანიძე, ნინო ბუწაშვილი**
11:00-11:15	დისკუსია
11:15-11:45	შესვენება ყავით / პოსტერების სესია

პოსტერების სესია

ნანა პეტრიაშვილი, ნანა ხარაბაძე	განწყობის მახასიათებლები დ. უზნაძის კლასიკურ თეორიაში და აზროვნებაში. განწყობის გადანაცვლებადობის თავისებურებები
თამილა ჯვარიძე	ჰემისფეროთა ფუნქციური ლატერალიზაცია მხედველობითი ინფორმაციის აღქმისას
თამარ მღებრიშვილი	კონტროლის ლოკუსის როლი პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის ფორმირებაში
ელენე დევდარიანი	სემანტიკური მსგავსების როლი სიტყვების დამახსოვრებაზე
თამარ ქარქაშაძე	უნებლიე ემოციური ექსპრესიის დეკოდირების კვლევა
ნინო ელბაქიძე	ემოციების წვდომა თვალების გამომეტყველებაში ურთიერთობის პრობლემის მქონე მოზარდებთან

სესია 1.1 – E 301 აუდიტორია

მოდერატორი - პროფესორი ნატა მეფარიშვილი

11:45-12:00	პიროვნული ნიშნების, სოციალური მხარდაჭერისა და პოსტ-ტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება ბავშვებთან და მოზარდებთან **მარიამ ფანჯიკიძე, ხათუნა მარწყვიშვილი, მარინე ჩიტაშვილი**
12:00-12:15	ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დეპრესიის, შფოთვისა და ცხოვრებით კმაყოფილების დონე სოციალური მხარდაჭერის ფონზე **მაკა ლორთქიფანიძე**
12:15-12:30	სოციალური მხარდაჭერის გავლენა დეპრესიის სიმპტომებზე ხანდაზმულ ინდივიდებში **სალომე მილორავა**
12:30-12:45	ევოლუციური პარადიგმა ფსიქოლოგიაში **ირაკლი ქავთარაძე**
12:45-13:00	პიროვნების ავერსიული მახასიათებლების მიმართება შემოქმედებით აზროვნებასთან **ნათია სორდია, ხათუნა მარწყვიშვილი**
13:00-13:15	დისკუსია
13:15-13:45	შესვენება ყავით

სესია 1.2 – E 301 აუდიტორია
მოდერატორი - პროფესორი ქეთევან მაყაშვილი

13:45-14:00	სენსორული ინტეგრაციის პროგრამის გავლენა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების და სწავლის პროდუქტულობაზე თამარ გვენეტაძე, თინათინ ჭინჭარაული
14:00-14:15	ემოციური გადაწვა ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგებში თინათინ ჭინჭარაული, სალომე გაფრინდაშვილი
14:15-14:30	სენსორული ინტეგრაციის დარღვევა და განმეორებადი ქცევები დაუნის სინდრომის მქონე და აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში თინათინ ჭინჭარაული, სალომე მინდორაშვილი
14:30-14:45	მე-ს ხატის ცვლილება ფორმალური დებატების ტექნიკის სწავლების გზით თინათინ ცერცვაძე
14:45-15:00	დისკუსია

სესია 2 .1- E 207 აუდიტორია
მოდერატორი - პროფესორი რუსუდან მირცხულავა

11:45-12:00	რელიგიურობა და წინარწმენები ირინა ვარდანაშვილი
12:00-12:15	ბაზისური ღირებულებები და ეთიკური იდეოლოგია მარიამ კვიციანი, მაია მესტვირიშვილი
12:15-12:30	ქართველების მიგრაცია პორტუგალიაში: სოციალური კავშირები/ქსელები და ეთნიკური იდენტობა ეკატერინე ფირცხალავა
12:30-12:45	მულტიკულტურული ღირებულებები და ეთნიკური მიკუთვნებულობა ნინო ბუწაშვილი
12:45-13:00	წინარწმენის წინასწარმეტყველება: ღირებულებები და ეთნოცენტრიზმი ანა მაყაშვილი
13:00-13:15	დისკუსია
13:15-13:45	შესვენება ყავით

სესია 2,2 – E 207 აუდიტორია
მოდერატორი - პროფესორი დალი ფარჯანაძე

13:45-14:00	მასტერ ნარატივის ინტეგრაციული თეორიული ჩარჩო: ქართული ილუსტრაცია ლილი ხეჩუაშვილი
14:00-14:15	ცხოვრების კულტურული სკრიპტი: ქართული ვერსია გიორგი ჭუმბურიძე, ლილი ხეჩუაშვილი
14:15-14:30	დროის პერსპექტივის, პიროვნული იდენტობისა და აკადემიური მოსწრების კორელაციური კვლევა სტუდენტებში მარინე ჯაფარიძე, ირმა როსტომაშვილი
14:30-14:45	იდენტობის ჩამოყალიბების კავშირი მოტივაციასა და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან ნინოს ხირტლაძე
14:45-15:00	დისკუსია
15:00-15:15	კონფერენციის დახურვა

აბსტრაქტები

საერთო სესია

დ. უზნაძე, როგორც ხელოვნების მკვლევარი

რუსუდან მირცხულავა

დიმიტრი უზნაძემ ხელოვნებისა და ესთეტიკის პრობლემათა თეორიულ-ემპირიული კვლევით საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების ფსიქოლოგიას და განწყობის ფსიქოლოგიის პოზიციებიდან ხელოვნების შესწავლის ძირითადი მიმართულებები დასახა. განწყობის ფსიქოლოგია ხელოვნებას იმ მხატვრული ფორმების ქმნადობასთან აკავშირებს, რომლებიც ხელოვანის არარეალიზირებულ განწყობათა ობიექტივაცია-რეალიზაციას ემსახურება. კათარზისის ფენომენი მხატვრული აქტივობის პროცესსა თუ მხატვრულ პროდუქტში სწორედ განწყობათა რეალიზაციას ეფუძნება; განწყობების მხატვრულ სფეროში განხორციელება კათარზისს, ესთეტიკურ განწმენდას უკავშირდება. დ.უზნაძე ადიფერენცირებს სპეციფიკურ თანდაყოლილ განწყობას, ე.წ. თამაშის განწყობას, რომელიც მხატვრული აქტივობის (მხატვრული კრეაციული და რეცეპციული პროცესების) სტიმულს წარმოადგენს. თამაში, როგორც ინტროგენული ან ფუნქციონალური ტენდენციით აღძრული ქცევა, ფსიქიკის თავისუფალი თვითგამოვლენის ფორმაა, რომლის კერძო სახეებია მხატვრული შემოქმედება და ესთეტიკური ტკბობა. დ. უზნაძე მხატვრულ აქტივობას მხოლოდ ვიწროდ-სუბიექტური არარეალიზებული განწყობებისა თუ ფუნქციონალური ტენდენციის ჭრილში არ განიხილავს. განწყობის თეორიის ავტორს მხატვრული აქტივობის ფუნდამენტად ზოგად-ადამიანური ეგზისტენციალური პრობლემის (სამყაროში ადამიანის ადგილისა და როლის პრობლემის) სუბიექტური განცდის სიმძაფრე და მისი მხატვრული ფორმებით რეალიზების ტენდენცია (ან სხვა სიტყვებით, უნივერსალურის სუბიექტურ, ინტენსიურ განცდად ან სუბიექტურ განწყობად გარდაქმნა) ესახება.

D. UZNADZE AS ART RESEARCHER

Rusudan Mirtskhulava

By his theoretical and empirical research of arts and aesthetic issues, Dimitri Uznadze laid the foundation for Georgian art psychology, outlining the main directions for the study of arts from the perspective of dispositional psychology. Dispositional psychology connects art to the creation of those artistic forms that represent the objectivation/realization of an artist's unrealized dispositions. Catharsis phenomenon is based on the realization of dispositions in the artistic process and product; actualization of dispositions in the artistic field is connected to catharsis or aesthetic purification. D. Uznadze differentiates specific inherent disposition, the so-called Game Disposition, which is a stimulus for artistic activity (creative and receptive processes). Game, as the behavior generated by introgenic or functional tendency, is free self-expressive form of the psyche, while artistic creativity and aesthetic perception are its separate types. D. Uznadze does not consider artistic activity only in this narrow scope – in the context of the unrealized subjective dispositions or of the functionality tendencies. To the author of the Disposition Theory, the rational of creative activity are the intensity of subjective experience of general existential problems (issues regarding the role and place of human in the world) and the tendency of its realization through artistic forms (or, in other words, transformation of universal into subjective, intense experience or subjective disposition).

ფიქსირებული განწყობის ეფექტი და ცვლილების პოტენციალი ცხოვრების გამოწვევების კონტექსტში

ქეთევან მაყაშვილი, ბარბარე ჭკუასელი, თამარ ხაჩიძე

გარემოს ცვლილებებთან მორგების ამხსნელ ფუნქციონალურ სისტემებში მუშავდება ისეთი ცნებები როგორიც ანტიციპაცია, განწყობა, მოლოდინი, მიკერძოება. ცვლილებებთან მორგების პროცესების შესწავლისას დგება ჩართული იმპლიციტური კომპონენტების დაზუსტების საკითხი. უზნაძის ფიქსირებული განწყობის მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შეფასდეს ცვლადი სტიმულების ფსიქიკაში იმპლიციტური გადამუშავების სპეციფიკა და ემპირიული მონაცემების საფუძველზე პასუხი გაეცეს როგორც თეორიულ, ისე ფსიქოჰიგიენის პრაქტიკულ საკითხებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამოვლინდეს როგორ აისახება იმპლიციტურ ფსიქიკურ პროცესებში ცვლილებები , რომელთაც ბიოლოგიური ან სოციალური მნიშვნელოვნება აქვთ. ანტიციპასიური ბუნების იმპლიციტური ფსიქოლოგიური პრიცესების ბიოლოგიურ და სოციალურ ცვლადებთან კავშირის შესასწავლად უზნაძის ფიქსირებული განწყობის მეთოდის მოდიფიცირებული ვარიანტები საკვლევი საკითხისათვის სპეციფიურ სამიზნე ჯგუფებთან გამოვიყენეთ, კერძოდ: სასურველი და არასასურველი ორსულობის მქონე ქალებთან ბიოლოგიური ცვლილების თანმდევი იმპლიციტური ანტიციპაციის თავისებურებების შესწავლისათვის და აუტიზმის მაღალი და დაბალი მაჩვენებლების მქონე ჯანმრთელ ადამიანებთან სოციალური მნიშვნელოვნების მქონე სტიმულების ცვლილებაზე (გამომეტყველების ემოციის ცვლილება) მათი შინაგანი რეაგირების თავისებურებების გამოსავლენად. კვლევის შედეგების მიხედვით ორსულობაში მიმდინარე ბიოლოგიური ცვლილებები, ცვლილებისადმი დამოკიდებულების გვარობის მიუხედავად, ორსულთა ვიზუალურ აღქმაში ისეთ თავისებურებებს ავლენს, რომელიც არსებულ ბიოლოგიურ ცვლილებებთან შესატყვისობაშია და ცვლილების იმპლიციტური ანტიციპაციის არსებობაზე მიუთითებს. ამისგან განსხვავებით, აუტისტური ნიშნების დაბალი და მაღალი მაჩვენებლების მქონე პირებს ადამიანების ემოციათა ცვლილებები განსხვავებულ მდგომარეობაში აყენებს. აუტისტური ნიშნების მაღალი მაჩვენებლების მქონე პირებისათვის ემოციების ცვლილების ნიუანსირებული აღქმა გართულებულია და სოციალური ცხოვრების გამოწვევას წარმოადგენს.

THE FIXED DISPOSITION EFFECT AND THE POTENTIAL FOR CHANGE IN THE CONTEXT OF THE CHALLENGES OF LIFE

Ketevan Makashvili, Barbare Chkuaseli, Tamar Khachidze

Functional systems explaining environmental changes are developing concepts, such as anticipation, set, expectation, and bias. In order to study the processes involved in adapting to the changes we need to specify the implicit components. Uznadze Set Method makes it possible to assess the specifications of implicit processing of variable stimuli, and answer to, both the theoretical and practical issues of psycho-hygiene based on the empirical data. In this regard it is important to identify how changes, which may have biological or social significance, affect implicit psychic processes. In order to study the dependence of implicit anticipatory psychological processes with the biological and social variables we used the modified versions of Uznadze Set Method with specific target groups, in particular, to study the biological changes associated with implicit anticipation in women with desired and unwanted pregnancy, and to study the inner responses to changes of stimuli with high social importance (changes in the expression of emotion) in healthy people with high and low characteristics of autism. According to the research, despite the attitudes towards the change, biological changes during pregnancy reveal the features in visual perception of pregnant women that correspond to biological changes, and this indicates the implicit anticipation of change. In contrast, changes in people's emotions have different reflection in individuals with low and high levels of signs of autism. For individuals with high levels of autism signs, the nuanced perception of emotion change is complicated and it is a real challenge of social life.

საკვლევი ინსტრუმენტების ვალიდაცია

ნინო ჯავახიშვილი, ნინო სხირტლაძე, მაკა ლორთქოფანიძე, ნინო ბუწაშვილი

სხვადასხვა ფსიქოლოგიური კონსტრუქტის გასაზომად გამოყენებული გავრცელებული კითხვარების დიდი ნაწილი თარგმნილია ქართულად და მათ აქტიურად იყენებენ, თუმცა, არ არის ცნობილი მათი ფაქტორული სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, თუ ის არ შეესაბამება კითხვარის თავდაპირველ სტურქტურას, შედეგი არ იქნება ვალიდური და შესაბამისად, ამგვარი კითხვარების გამოყენება რეალურ სურათს ვერ მოგვცემს. ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამგვარი ხარვეზები აქვს შფოთვის, დეპრესიის, თვითშეფასების კითხვარებს, რომლებსაც დიდი ხანია იყენებენ საქართველოში. ამ კვლევით ვაჩვენებთ ამ და სხვა კითხვარების ფაქტორულ სტრუქტურას, რისთვისაც, პირველ ეტაპზე კიდევ ერთხელ გავარედაქტირეთ ამ ინსტრუმენტების ტექტსები, ხოლო შემდეგ განვახორციელეთ მათი დამადასტურებელი ფაქტორული ანალიზი. ზოგიერთ კითხვარში მოგვიწია დებულებების ამოღება. შედეგად, მივიღეთ სანდო და ვალიდური კვლევის ინსტრუმენტები.

VALIDATION OF RESEARCH INSTRUMENTS

Nino Javakhishvili, Nino Skhirtladze, Maka Lortkipanidze & Nino Butsashvili

A large number of widespread questionnaires designed to measure various psychological constructs have been translated into Georgian and have been extensively used by researchers. However, their factorial structure is not known. Unless it matches the original structure, the results can not be valid and, therefore, the use of such instruments will not provide a real picture. Research carried out at the Institute of Psychology has shown that anxiety, depression, and self-assessment questionnaires that have long been used in Georgia indeed have such flaws. With the current study, we demonstrate the factorial structure of these and other questionnaires. At the initial stage, we re-edited the texts of these instruments, and then conducted confirmatory factor analysis. We had to remove items for some of the questionnaires. As a result, we obtained reliable and valid research instruments.

პოსტერების სესია

განწყობის მახასიათებლები დ.უზნაძის კლასიკურ თეორიაში და აზროვნებაში განწყობის გადანაცვლებადობის თავისებურებები

ნანა პეტრიაშვილი, ნანა ხარაბაძე

განწყობა ესაა ერთგვარი შინაგანი მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს ყოველგვარი ფსიქიკური მოქმედების პირობას. იგი წინ უსწრებს ნებისიერ ქცევას და ყოველი ქცევაც შესაბამისი განწყობის საფუძველზე ხორციელდება. დიმიტრი უზნაძის კლასიკურ თეორიაში იგი განხილულია, როგორც მთლიანობითი ფენომენი, რასაც ადასტურებს მისი ისეთი თვისებები, როგორიცაა ირადიაცია და გენერალიზაცია. განწყობა ადამიანის ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა დონეზე იჩენს თავს, როგორც სენსორულ ისე კოგნიტურ სფეროში. თუ ავიღებთ დაშვებას, რომ განწყობა მთლიანობითი ფენომენია და ადამიანის ფუნქციონირების ყველა სფეროს მოიცავს, მაშინ მისი მოქმედების კანონზომიერება, გამოვლენილი მახასიათებლები ერთნაირი უნდა იყოს. კვლევის მიზანია დაადგინოს განწყობის მოქმედების დინამიკა ფსიქიკური აქტივობის სხვადასხვა სფეროში. უზნაძის ჰაპტურ სფეროში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგებისა და აზროვნებში განწყობის გადაცანვლების საკვლევი ვისკონსინის ქარდების სორტირების ტესტის (WCST) შედეგების შედარება საშუალებას იძლევა დავინახოთ რამდენად მსგავსი ფენომენია სენსორულ და აზროვნების სფეროში გამოვლენილი განწყობა. შედეგების ანალიზი გჩვენებს, რომ გაწყობის

ზოგიერთი მახასიათებელი თავს იჩენს, როგორც ერთ, ისე მეორე სფეროში. რაც შეეხება მახასიათებლების გამოვლენაში მსგავსებას, შედეგების ანალიზის საფუძველზე არ დადასტურდა. თუმცა ზოგიერთ ცვლადთან მიმართებაში გარკვეული ტენდენციები გამოიკვეთა.

CHARACTERISTICS OF DISPOSITION IN D. UZNADZE CLASSICAL THEORY AND THE FEATURES OF SET SHIFTING IN THINKING

Nana Petriashvili, Nana Kharabadze

Disposition is a kind of internal condition that serves as a precondition for any psychic action. It precedes any behavior and each behavior is performed based on relevant disposition. Dimitri Uznadze's classic theory regards this phenomenon as a unity, as evidenced by its qualities, like irradiation and generalization. Disposition occurs at various levels of human psychic activity, both in sensory and cognitive areas. If we assume that disposition is an all-inclusive phenomenon working in all areas of the human functioning, then its regularity and identified characteristics must be identical. The research goal is to determine the disposition dynamics in various areas of the psychic activity. Comparison of the results of Uznadze haptic experiment and the study of Wisconsin Card Sorting Test (WCST) results for disposition shifting in thinking makes it possible to see if there are similar phenomena in the sensory and thinking areas. Results indicate that some characteristics of disposition arise in both areas. As for similarity of characteristics, data analysis did not support it. However, with respect to some of the variables certain tendencies have been observed.

ჰემისფეროთა ფუნქციური ლატერალიზაცია მხედველობითი ინფორმაციის აღქმისას

თამილა ჯვარიძე

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ, შესაძლებელია თუ არა მხედველობის ველის მარჯვენა და მარცხენა მხარის მიმართ ადამიანის ყურადღების ხელოვნური მართვა და აგრეთვე, თუ არის მართვის თვალსაზრისით განსხვავება მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის. კვლევაში მონაწილეობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 30 მდედ-რობითი და 30 მამრობითი სქესის სტუდენტი, საშუალო ასაკი - 20,8. გამოყენებული იყო ექსპერიმენტული მეთოდი: ცდის ყოველ სერიაში მონიტორის ეკრანის ცენტრში ერთი წამით ჩნდებოდა სიტყვა. ცდის პირს ევალებოდა ამ სიტყვის წაკითხვა. სიტყვის წაკითხვისთანავე ეკრანზე ჩნდებოდა ორი მხედველობითი სტიმული (საგნების გამო-სახულება), 150 მილისეკუნდის ხანგრძლივობით, ერთდროულად, ერთი სტიმული მონიტორის ეკრანის მარცხენა, ხოლო მეორე სტიმული ეკრანის მარჯვენა მხარეს. სიტყვის წაკითხვის შემდეგ, ცდის პირს ვეკითხებოდით, სიტყვის გარდა, კიდევ რა დაინახა. ცდის პირების პასუხები დაფიქსირდა და დამუშავდა სტატისტიკურად. საკონტროლო ჯგუფში ჩატარდა მსგავსი ექსპერიმენტი იმ განსხვავებით, რომ სიტ-ყვების ნაცვლად ეკრანის ცენტრში ჩნდებოდა წერტილი და ცდის პირს ევალებოდა ამ წერტილისთვის ყურება. ექსპერიმენტულ ჯგუფში არ გამოვლენილა განსხვავება ეკრანის მარცხენა და მარჯვენა მხარეს დანახულ სტიმულების რაოდენობას შორის. საკონტროლო ჯგუფში ცდის პირების უმრავლესობა ძირითადად ხედავდა სტიმულებს, რომლებიც ჩნდებოდა მხედველობის მარცხენა ველში. საკონტროლო ჯგუფის შედეგი ამტკიცებს არსებულ მოსაზრებას, რომ ადამიანი პირველად ყურადღებას აქცევს მხედველობის ველის მარცხენა ნაწილში არსებულ სტიმულებს. ექსპერიმენტის მონაცემი გვიჩვენებს, რომ სიტყვების წაკითხვა ააქტიურებს მარცხენა ჰემისფეროს, რის გამოც ცდის პირების ყურადღების ვექტორი ინაცვლებს მხედველობის ველის მარცხენა მხრიდან მარჯვნისაკენ. როგორც ჩანს, შესაძლებელია ერთი ჰემის-ფეროს წინასწარი ფუნქციური დატვირთვით, ხელოვნურად ვცვალოთ მხედველობითი ველის მხარეების მიმართ ადამიანის ყურადღების ვექტორი.

THE FUNCTIONAL LATERALIZATION OF HEMISPHERES WHEN PERCEIVING VISUAL INFORMATION

Tamila Jvaridze

The goal of our study is to determine whether it is possible to artificially control human attention in regard to left and right side of the visual field, and if there are differences between males and females in terms of such control. The study included 30 female and 30 male student participants from different faculties of Ilia State University with average age of 20,8. The study employed experimental method: in a series of experiments, a word appeared in the center of monitor screen for a second. The participants were asked to read this written word. Immediately after reading the word, two visual stimuli (object images) were shown simultaneously for 150 milliseconds on the screen, with one stimulus on the left side and the other on the right side of the screen. After reading the word, we asked participants to tell us what they saw. Participants' answers were recorded and statistically analyzed. Similar experiment was conducted in a control group except that instead of words a dot was appearing in the center of the screen and the participants were instructed to watch this dot. In the experimental condition, we did not identify the differences between the number of stimuli seen on the left and right sides of the screen. The majority of participants in the control group mainly saw stimuli appearing in the left visual field. Results from control group confirm the suggestion that people, firstly, focus on stimuli on the left side of their field of vision. Experimental data show that reading words activates the left hemisphere, which is why participants' attention vector has shifted from the left side of the visual field to the right. It appears to be possible to change human attention vector between the sides of the visual field by functionally loading on one hemisphere.

კონტროლის ლოკუსის როლი პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის ფორმირებაში

თამარი მღებრიშვილი

წარმოდგენილი კვლევის მიზანია დაგვედგინა არსებობს თუ არა კავშირი, კორელაცია, პოსტ-ტრავმულ აშლილობასა და კონტროლის ლოკუსს შორის. ახდენს თუ არა გავლენას კონტროლის ლოკუსის ტიპი, გარეგანი თუ შინაგანი, PTSD-ის ფორმირებაზე. ასევე განგვესაზღვრა კონტროლის გარეგანი ლოკუსის მქონე პირების რაოდენობა ქარბობს თუ არა კონტროლის შინაგანი ლოკუსის მქონე ადამიანებს. კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდნენ 13 ივნისს თბილისში სტიქიით დაზარალებულები. კვლევის ფარგლებში გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევაში მონაწილე რესპოდენტების რაოდენობა შეადგენდა 25 ადამიანს. პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობის დასადგენად გამოვიყენეთ PCL-5-ის კითხვარი, ხოლო კონტროლის ლოკუსის ტიპის განსასაზღვრად ავირჩიეთ როტერის კონტროლის ლოკუსის შკალა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ კონტროლის ლოკუსსა და პოსტ-ტრავმულ სტრესულ აშლილობას შორის ძლიერი დადებითი კორელაცია არსებობს. ცდის პირები, რომლებსაც განუვითარდათ PTSD, უმეტესად კონტროლის გარეგანი ლოკუსის მატარებლები იყვნენ. შერჩევით ერთობლიობაში გამოვლინდა კონტროლის ლოკუსის სხვადასხვა ტიპი. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რესპოდენტებს შორის კონტროლის შინაგანი ლოკუსის მქონე ადამიანების რიცხვი ქარბობს გარეგანი კონტროლის ლოკუსის მქონე პირების რაოდენობას. მიუხედავად ამისა, ჩვენ მივიჩნევთ, რომ შედეგების განზოგადება დაუშვებელია. წარმოდგენილი კვლევა კი შესაძლოა კარგი წინაპირობა აღმოჩნდეს სამომავლოდ მასშტაბური კვლევის დასაგეგმად და ქართულ პოპულაციაში საკითხის დეტალურად შესასწავლად.

THE ROLE OF LOCUS OF CONTROL IN DEVELOPMENT OF POST-TRAUMATIC STRESS DISORDER

Tamar Mghebrishvili

The present study aims to determine whether there is a connection / correlation between the locus of control and post-traumatic disorder, and whether the type of locus of control, external or internal, has an impact on PTSD development. Also, we wanted to determine if the number of people with external locus of control exceeds the number of those with internal locus of control. The study participants were the victims of June 13 Tbilisi natural disaster. Quantitative research method was employed in the study with participation of 25 respondents. We chose PCL-5 questionnaire to determine the Post-traumatic stress disorder, and the Rotter Locus of Control Scale was used to determine the locus of control. Research shows that there is a strong positive correlation between control of locus and post-traumatic stress disorder. Participants who developed PTSD mostly had external locus of control. The different types of locus of control have been identified. We found out that the number of people with internal locus of control surpasses the number of those with external locus of control among the respondents. Nevertheless, we believe that generalization of these results is unacceptable. However, the present study might serve as a prerequisite for future large-scale research to study the issue more extensively among Georgian population.

სემანტიკური მსგავსების როლი სიტყვების დამახსოვრებაზე

ელენე დევდარიანი

ჩემი კვლევის მიზანი იყო მშობლიურ და უცხო ენაზე სიყტყვების დამახსოვრებაზე ამ სიტყვების სემანტიკური მსგავსების მნიშვნელობის დადგენა. კვლევის ჰიპოთეზა შემდეგნაირი იყო: ერთ ენაზე სიტყვების დამახსოვრება აადვილებს მეორე ენაზე იმავე შინაარსის სიტყვების დამახსოვრებას. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური ფსიქოფიზიოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიის ბაზაზე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 40-მა სტუდენტმა (20-გოგო; 20-ბიჭი, საშუალო ასაკი - 21 წელი; არცერთი უჩიოდა მხედველობის პრობლემას). ცდის პირი იჯდა სკამზე, კომპიუტერის მონიტორის წინ, 2 მეტრის დაცილებით. ცდის პირს ვაძლევთ ფურცელს და ფანქარს და ინსტრუქციას: კომპიუტერში თანმიმდევრულად გამოჩნდება სიტყვები, უნდა წაიკითხოთ და დაიმახსოვროთ. ჩვენება რომ დამთავრდება უნდა გაიხსენოთ ეს სიტყვები და სწრაფად ჩამოწეროთ ფურცელზე. ექსპერიმენტი შედგებოდა ცდის პირთა 2 ჯგუფისგან. პირველი ჯგუფი (10-გოგო; 10- ბიჭი) იმახსოვსრებდა 10 ქართულ სიტყვას, რამდენიმე წუთის შემდეგ ეძლეოდა იგივე სიტყვები და იმავე თანმიმდევრობით, ოღონდ თარგმნილი ინგლისურად. ხოლო მეორე ჯგუფს (საკონტროლო ჯგუფი 10-გოგო; 10-ბიჭი) დასამახსოვრებლად ეძლეოდა 10 ქართული სიტყვა და რამდენიმე წუთის შემდეგ სხვა 10 ინგლისური სიტყვა. მონაცემების რაოდენობრივი დამუშავების შედეგად დადასტურდა კვლევის ჰიპოთეზა - ერთ ენაზე სიტყვების დამახსოვრება აადვილებს მეორე ენაზე იმავე შინაარსის სიტყვების დამახსოვრებას. მიღებული მონაცემები, სავარაუდოდ, გამოდგება უცხო ენის შესწავლის იმ მეთოდის ავკარგიანობის შესაფასებლად,რომლის მიხედვითაც ახალი სიტყვების ათვისების დროს პედაგოგი არ უსახელებს მოსწავლეს ამ სიტყვის შესაბამის სიტყვას მშობლიურ ენაზე, არამედ ცდილობს, რომ სხვა და სხვა საშუალებით მიახვედროს მოსწავლე თუ რას ნიშნავს ეს უცხო სიტყვა. ვფიქრობთ, აგრეთვე, რომ სასურველია მიღებული მონაცემები გადამოწმდეს ცდის პირთა უფრო დიდ კონტინგენტზე.

THE ROLE OF SEMANTIC SIMILARITY IN MEMORIZING WORDS

Elene Devdariani

The goal of the study was to find out how memorizing words of native and foreign languages is influenced by semantic similarity of these words. The hypothesis of the study was as follows: Memorizing words of one language facilitates memorizing another language's words with same meanings. The study was conducted at Ilia State University in frames of Students Psycho-physiological Research Center. 40 students participated in the study (20 females, 20 males with average age of 21; none of them complained of visual problems). Participants were sitting on a chair in front of a computer screen on a distance of two meters. They were given a paper and a pencil, and were instructed as follows: "You will see words successively displayed on a screen, and you should read and memorize them. When all of the words are shown, you should recall the words and quickly write them down on the paper." There were 2 groups of participants in the experiment. The first group (10 females and 10 males) memorized 10 Georgian words, and several minutes later they were provided with the same words in the same sequence, but these words were now translated into English. The second group (control group of 10 females and 10 males) was given 10 Georgian words to memorize, and a few minutes later they were provided with 10 different English words. Quantitative analysis of data confirmed the hypothesis of the study: Memorizing words in one language facilitates memorizing the words in another language if the meanings of the words are same. The data might prove useful in evaluating efficiency of the method of foreign language teaching in which a teacher does not provide corresponding words in the native language while teaching new words, but rather tries to get students understand the meanings of foreign words by different means. Additionally, we think that it would be advantageous to test the experiment with a larger population.

უნებლიე ემოციური ექსპრესიის დეკოდირების კვლევა

თამარ ქარქაშაძე

ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებმა ჩავატარეთ კვლევათა სერია, რომლის მიზანიც იყო მიმიკის დეკოდირების უნარის კვლევა. კვლევა მოიცავდა სამ ეტაპს: I ეტაპი - ცდისპირები საკუთარი შეხედულებისამებრ ახდენდნენ ემოციათა სახელდებას. (ასაკობრივი ჯგუფი 18-22 წწ). II ეტაპი - ემოციების დეკოდირება კ.იზარდის მიერ გამოყოფილი 10 ფუნდამენტური ემოციის საფუძველზე (ასაკობრივი ჯგუფი18-22 წწ). III ეტაპი - ემოციების დეკოდირება კ.იზარდის მიერ გამოყოფილი 10 ფუნდამენტური ემოციის საფუძველზე (ასაკობრივი ჯგუფი 30-55 წწ). კვლევის მეორე და მესამე ეტაპებზე ცდისპირთა პასუხები შეფასდა მათი ადექვატურობის მიხედვით, ექპერტ-ფსიქოლოგების პასუხებთან შედარების საფუძველზე. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ: კვლევის I ეტაპზე დეკოდირების პროცესში ყველაზე ხშირად ვლინდება გაკვირვებისა და სიხარულის ემოციები. კვლევის მეორე ეტაპზე დომინანტური ემოციის სახით გამოვლინდა გაკვირვებისა და სიხარული-სიამოვნების ემოციები. მიღებულ მონაცემებს შორის გენდერის მიხედვით არ გამოვლინდა სანდო სტატისტიკური სხვაობა. ცდისპირთა პასუხები ნაკლებად ადექვატური აღმოჩნდა - ფოტოთა მხოლოდ ნახევარზე წარმოადგინეს ადექვატური პასუხები. კვლევის მესამე ეტაპზეც ყველაზე მაღალი სიხშირით სახელდება დადებითი ემოციები, როგორიცაა სიხარული-სიამოვნება და გაკვირვება. ცდისპირებმა ძირითადად ადექვატურად მოახდინეს ემოციების დეკოდირება (19 ფოტო). კვლევის შედეგები არ ასახავს გენდერულ განსხვავებას. მივიღეთ სხვაობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის თითოეულ ფოტოსთან მიმართებაში, თუმცა ახალგაზრდებმა და ზრდასრულებმა განსხვავებული ფოტოების თანაბარი რაოდენობის დეკოდირება შესძლეს სწორად.

DECODING INVOLUNTARY EMOTIONAL EXPRESSIONS

Tamar Karkashadze

Ilia State University students have conducted a series of studies, which aimed to study the mimic decoding skills. The study consisted of three stages: stage I – participants named the emotions within their own discretion (age range 18-22 years). Stage II – decoding emotions on the basis of C. Izard 10 basic emotions (age range 18-22 years). Stage III – decoding emotions on the basis of 10 basic emotions of C. Izard (age range 30-55 years). During the second and third stages of the study, participants' responses were evaluated for their suitability based on the comparison to the expert psychologists' answers. Based on the collected data we can say that the most commonly observed emotions in decoding process at stage I are surprise and joy. During the II stage, the dominant emotions were surprise and joy / pleasure. The data has not revealed statistically reliable gender differences. Participants' answers were not adequate; adequate responses were presented only for the half of the images. At the third stage, the positive emotions such as joy / pleasure and surprise were named with the highest frequency. Most of the emotions were adequately decoded (19 images). The results did not show gender differences. We got the difference between the age groups with regard to each photograph, but both young and adult groups correctly decoded an equal number of different photographs.

ემოციების წვდომა თვალების გამომეტყველებაში ურთიერთობის პრობლემის მქონე მოზარდებთან

ნინო ელბაქიძე

მოზარდობაში ინტერპერსონალური ურთიერთობები პიროვნული ფორმირების ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს. ინტერპერ-სონალურ ურთიერთობებში ერთ–ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი სოციალური უნარია სხვისი ემოციებისა და გრძნობების წვდომა. კვლევის სამიზნე ჯგუფი ურთიერთობის პრობლემის მქონე მოზარდები არიან _ახალგაზრდები, რომლებსაც ნორმიდან გადახრა აღენიშნებათ, როგორც ურთიერთობის მოთხოვნილების, ასევე ურთიერთობის შიშის ხარისხში. აღნიშნული პრობლემა, ერთის მხირვ, შესაძლოა უკავ-შირდებოდეს ტრავმულ გამოცდილებას, მეორეს მხრივ, სოციალურ უნარებს. ჰიპოტეზა, რომ, სხვისი აზრებისა და გრძნობების (კომპლექ-სური მენტალური მდგომარეობების) წვდომის უნარი, მნიშვნელოვანი ცვლადია მოზარდთა აფილაციის ტენდენციის პრობლემაში, ვიკვლიეთ 18 - 20 წლამდე მოზარდებთან. აფილაციის საზომი ინსტრუმენტის გამოყენებით, გამოიკვეთა მოზარდთა ოთხი პრობლემური ჯგუფი: 1.ურთიერთობისაკენ მისწრაფების დაბალი ხარისხი, გარიყულობის მაღალი შიში („ტრავმული"); 2. ურთიერთობისაკენ მისწრაფების მაღალი ხარისხი, გარიყულობის დაბალი შიში („მოურიდებელი"); 3. ურთიერთობისაკენ მისწრაფების დაბალი ხარისხი, გარიყულობის დაბალი შიში („ჩაურთველი"); 4. ურთიერთობისაკენ მისწრაფების მაღალი ხარისხი, გარიყულობის მაღალი შიში („მორცხვი"). პრობ-ლემურ ჯგუფებში, სხვისი გრძნობების წვდომის უნარის გასაზომად განხორციელდა „სხვისი აზრებისა და გრძნობების წვდომის" ტესტის ქართული ვერსიის პირველადი აპრობაცია/ვალიდიზაცია. კვლევის შედეგებმა აჩვენა: იმ შემთხვევებს შორის, სადაც აფილაციის უნარის დეფიციტთან გვაქვს საქმე, მეტად პრობლემურ შემთხვევებს წარმო-ადგენს ე. წ. „ტრავმული" და ე.წ. „ჩაურთველი" ტიპები_ მოზარდები, რომელთა ურთიერთობის მოთხოვნილების ნაკლებობა და არა ურთიერთობის შიშის მომატებული ხარისხი დაუფიქსირდათ. სწორედ ეს მოზარდები ავლენენ მენტალური მდგომარეობების წვდომის უნარის დეფიციტს, რაც „მორცხვი" და „მოურიდებელი" მოზარდების ჯგუფებში არ დადასტურდა.

GUESSING EMOTIONS BY EYE EXPRESSIONS AMONG ADOLESCENTS WITH RELATIONSHIP PROBLEMS

Nino Elbakidze

Interpersonal relationships are the basic instruments for person's development in adolescence. One of the most necessary and important social skill of interpersonal relations is guessing others' emotions and feelings. The target group of the study included adolescents with relationship problems – young people with deviations in terms of, both need for a relationship and fear towards it. These problems may be caused by traumatic experiences on the on hand, and by social skills, on the other. According to the hypothesis, an ability to guess others' thoughts and feelings (complex mental conditions) is an important variable for the affiliation tendency in adolescents. Participants of the study were young people under 18 or 20. Four adolescent problem groups were identified using affiliation measuring instruments: 1. Low levels of relationship aspirations, high levels of exclusion fear ("traumatic"); 2. High levels of relationship aspirations, low levels of exclusion fear ("cheeky"); 3. Low levels of relationship aspirations, low levels exclusion fear ("uninvolved"); 4. High levels of relationship aspirations, high levels of exclusion fear ("shy"). To measure the ability to guess others' feelings, Georgian version of the test for "Guessing Others' Thoughts and Feelings" was approbated / validated in problem groups. The study showed that the most problematic cases among the affiliation skill deficits are so-called "traumatic" and so-called "uninvolved" types – adolescents who lack the needs to communicate, rather than those who have increased fear of exclusion. These adolescents demonstrate the lack of insight in mental conditions, which has not been confirmed with "shy" and "cheeky" adolescent groups.

სესია 1.1

პიროვნული ნიშნების, სოციალური მხარდაჭერისა და პოსტტრავმული ზრდის ურთიერთმიმართება ბავშვებთან და მოზარდებთან

მარიამ ფანჯიკიძე, ხათუნა მარწყვიშვილი, მარინე ჩიტაშვილი

პოსტტრავმული ზრდის ფენომენისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლას ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა კვლევების მცირე ნაწილია განხორციელებული ახალგაზრდებთან. ჩვენი კვლევის მიზანია პოსტტრავმული ზრდის და მასთან დაკავშირებული კორელატების - პიროვნული ნიშნებისა და სოციალური მხარდაჭერის რაობის შესწავლა იძულებით გადაადგილებულ ბავშვებთან და მოზარდებთან. კვლევაში მონაწილეობდა 241 ინდივიდი, საშუალო ასაკი წარმოადგენდა 15,18-ს (SD= 1 62). კორელაციური, რეგრესიული და მედიციური ანალიზის მეშვეობით დადგინდა ცვლადებს შორის ურთიერთმიმართება. კვლევის შედეგების მიხედვით, პიროვნულ ნიშნებს - ექსტრავერსიასა და კეთილსინდისიერებას, ისევე როგორც ინფორმაციული სახის სოციალურ მხარდაჭერას აქვს პრედიქტული მნიშვნელობა პოსტტრავმული ზრდისთვის. ხოლო სოციალური მხარდაჭერა წარმოადგენს მედიატორს პიროვნულ ნიშნებსა და პოსტტრავმულ ზრდას შორის კავშირის განსაზღვრისას. მოცემული კვლევის შედეგები წარმოადგენს ემპირიულ მონაცემს, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებსა და მოზარდებთან პოსტტრავმული ზრდის მექანიზმების შესწავლას.

THE RELATIONSHIP BETWEEN PERSONALITY CHARACTERISTICS, SOCIAL SUPPORT AND POSTTRAUMATIC GROWTH IN CHILDREN AND ADOLESCENTS

Mariam Panjikidze, Khatuna Martskvishvili, Marine Chitashvili

The study of posttraumatic growth phenomenon and factors related to it have a long history. However, only a small part of the research has been conducted with the youth. Our research aims to study posttraumatic growth and the associated correlates, such as personality traits and social support, with internally displaced children and adolescents. The study involved 241 individuals, with the mean age of 15.18 (SD = 1.62). Correlational, regression, and mediation analysis were used to find out the relationship among the variables. According to the results of the study, personality characteristics such as extraversion and integrity, as well as informative type of social support, have predictive value for posttraumatic growth, while social support serves as the mediator in determining connection between personality traits and posttraumatic growth. The results of this research are empirical data, contributing to the study of posttraumatic growth mechanisms in children and adolescents.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების დეპრესიის, შფოთვისა და ცხოვრებით კმაყოფილების დონე სოციალური მხარდაჭერის ფონზე

მაკა ლორთქიფანიძე

ოჯახში ძალადობა, როგორც გენდერული ძალადობის ნაწილი, ფართოდ გავრცელებული, კომპლექსური ბუნების მქონე პრობლემაა, რომლის მსხვერპლი ხშირ შემთხვევებში ქალია. ძალადობრივ ოჯახურ ურთიერთობებში მყოფი მსხვერპლი ქალები მუდმივი სტრესის ქვეშ იმყოფებიან, რაც ნეგატიურად აისახება მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. ძალადობრივი გარემოთი გამოწვეული სტრესის შემცირების, მასთან ადაპტირებისა თუ მისგან თავის დაღწევის მნიშვნელოვან რესურსს ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის სოციალური მხარდაჭერა წარმოადგენს. ძლიერი მხარდაჭერის მქონე ძალადობის მსხვერპლ ქალებს დეპრესიისა და შფოთვის დონე უფრო დაბალი აქვთ იმ მსხვერპლ ქალებთან შედარებით, რომლებსაც სოციალური მხარდაჭერის დონე დაბალი აქვთ ან საერთოდ არ აქვთ. დეპრესიის და შფოთვის დონე, ისევე როგორც ცხოვრებით კმაყოფილების დონე თავის მხრივ, დაკავშირებულია პიროვნების ადაპტურ ფუნქციონირებასთან. კვლევის მიზანია, შევისწავლოთ კავშირი მსხვერპლი ქალების ოჯახში ძალადობის გამოცდილებასა და ძალადობრივ გარემოსთან მათ ფსიქოლოგიურ ადაპტირებას შორის მაშინ, როდესაც ეს კავშირი გაშუალებულია ერთ შემთხვევაში ოჯახისა და მეგობრების, მეორე შემთხვევაში კი - ინსტიტუციების მხრიდან სოციალური მხარდაჭერით. მონაცემების დამუშავება მოხდა მოდერაციული ანალიზის გამოყენებით. შედეგები გვიჩვენებს, რომ სოციალური მხარდაჭერა მხოლოდ ნაწილობრივ, ოჯახში ძალადობის გარკვეული ფორმებისა და ფსიქოლოგიური ადაპტირების გარკვეული ცვლადების შემთხვევაში ასრულებს მოდერატორის როლს. ამასთან, ოჯახისა და მეგობრების მხრიდან სოციალური მხარდაჭერის დონე ბევრად აღემატება ინსტიტუციური მხარდაჭერის დონეს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მსხვერპლი ქალების უმრავლესობა ან არ მიმართვას ინსტიტუციებს დასახმარებლად ან მიმართავს, მაგრამ არასაკმარისად ეფექტურ დახმარებას იღებს მათგან.

DEPRESSION, ANXIETY, AND LIFE SATISFACTION LEVELS AMONG THE FEMALE VICTIMS OF DOMESTIC VIOLENCE WITH REFERENCE TO SOCIAL SUPPORT

Maka Lortkipanidze

Domestic violence, as part of gender-based violence, is widespread and complex problem. In many cases, its victims are women. Being victims of violent family relationships, women are under permanent stress, which adversely affects their psychological development. Social support is an important resource for female victims of domestic violence that helps them reduce, adapt to, or avoid stress caused by violent atmosphere. Female victims of violence with stronger support have lower levels of depression and anxiety as compared to those female victims who have a low level of social support or no support at all. Depression and anxiety levels, as well as life satisfaction, are connected to adaptive functioning of a person. The research goal is to study the relationship between female victims' experience of domestic violence and their psychological adaptation to a violent environment when this relationship is moderated by support of family and friends, on the one hand, and by support of social institutions, on the other. The data have been processed using a moderational analysis. Results show that social support has only partial moderating effect in cases of some forms of domestic violence and certain variables of psychological adaptation. In addition, level of social support from the family and friends is much higher than the level of institutional support, suggesting that the majority of women either do not apply for help to the institutions or apply to them but do not receive efficient support.

სოციალური მხარდაჭერის გავლენა დეპრესიის სიმპტომებზე ხანდაზმულ ინდივიდებში

სალომე მილორავა

ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს სოციალური მხარდაჭერის კავშირი დეპრესიის სიმპტომებთან ხანდაზმულ ინდივიდებში. ვინაიდან და რადგანაც დეპრესია ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული ფსიქიკური დაავადებაა ხანდაზმულებში, ჩვენთვის საინტერესო იყო თუ რა როლს ასრულებს ოჯახის წევრებისა და მნიშვნელოვანი გარშემომ-ყოფების მიერ გაღებული სოციალური მხარდაჭერა დეპრესიის სიმპტო-მების განვითარება-შეფერხებაში. აღნიშნული კვლევა იყო რაოდე-ნობრივი. მასში მონაწილეობა მიიღო 30 ცდისპირმა, რომელთაგან 19 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 11 მამრობითი სქესის წარმომადგენელი, მათი ასაკი მერყეობდა 70 წლიდან ზემოთ. საველე სამუშაოები მიმდინარეობდა სამ სხვადასხვა ადგილას, ესენია: სკვერი, ოჯახი და ხანდაზმულთა პანსიონატი. თითოეულ ადგილას მოხდა 10-10 რესპოდენტთან გასაუბრება. ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევაში, დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენდა სოციალური მხარდაჭერა, დამოკიდებულ ცვლადს კი - დეპრესიის სიმპტომები. ასევე ცვლადებად გამოყენებულ იქნა სქესი, ასაკი, ოჯახური მდგომარეობა, საქმიანობა და განათლება, ადგილსამყოფელი (სახლი, სკვერი, პანსიონატი) და ყოველდღიური ფუნქციონირება (დამოუკიდებელი, დამოკიდებული). დეპრესიის სიმპტომების გასაზომად გამოყენებულ იქნა გერიატრიული დეპრესიის სკალის 15 კითხვიანი შემოკლებული, ვერსია (GDS), ხოლო სოციალური მხარდაჭერის გასაზომად გამო-ყენებულ იქნა დაკის სოციალური მხარდაჭერის ინდექსის 11 კითხვიანი შემოკლებული ვერსია (DSSI). მონაცემების ლოგისტიკური რეგრესიული ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა რომ დეპრესიის მაჩვენებელი მნიშ-ვნელოვანწილად დაკავშირებული იყო პანსიონატის ხანდაზმულებთან, ასევე გამოიკვეთა შემდეგი ფაქტიც: ხანდაზმულებს, რომლების სახ-ლიდან ფაქტობრივად არ გადიან დეპრესიის მეტი სიმპტომი ჰქონდათ სკვერში მოსიარულეებისაგან განსხვავებით. რაც შეხება სქესს: მდედ-რობითი სქესის წარმომადგენლებთან დეპრესიის მაჩვენებელი უფრო მაღალი იყო, განსხვავებით მამრობითი სქესისა. ჩვენ ვვარაუდობდით, რომ სოციალური მხარდაჭერა, სხვა ცვლადებთან შედარებით მეტად იქნებოდა დაკავშირებული დეპრესიასთან, თუმცა მონაცემების ანალი-

ზის შედეგად ვარაუდი არ გაგვიმართლდა და საკუთარი მაჩვენებლის მნიშვნელოვნებით სოციალური მხარდაჭერა ჩამოუვარდებოდა როგორც ადგილსამყოფელის, კერძოდ პანსიონატისა და სახლის, ასევე სქესის მაჩვენებელს. დანარჩენ ცვლადებსა და დეპრესიის სიმპტომებს შორის მნიშვნელოვანი კავშირი არ იქნა აღმოჩენილი. კვლევის ნაკლს წარმოადგენდა მონაწილეების მცირე რაოდენობა. შესაძლებელია სამომავლოდ მონაწილეების რაოდენობის მნიშვნელოვანწილად გაზრდა, კვლევის დიზაინის დახვეწა და შესაბამისად შედეგებიც უფრო მეტად საინტერესო და ინფორმატიული იქნება. ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალური მხარდაჭერა, დეპრესიის სიმპტომები, ხანდაზმული ადამიანები.

THE IMPACT OF SOCIAL SUPPORT ON DEPRESSION SYMPTOMS AMONG ELDERLY INDIVIDUALS

Salome Milorava

The study focuses on the relationship between social support and depression symptoms in elderly individuals. Since the depression is one of the most widespread mental illnesses in the elderly people, we got interested in the role of social support from family members and significant others for the development of depression symptoms. Our quantitative study included 30 participants, with 19 females and 11 males, their ages ranging from 70 years and up. The fieldwork was carried out at three different locations, including parks, families and boarding house for elderly. 10 respondents were interviewed at each location. The independent variable in this study was social support, while depression symptoms served as dependent variables. We also looked at the variables of gender, age, marital status, occupation and education, location (house, park, boarding house) and daily functioning (independent, dependent). Depressive symptoms were measured with shortened (15 questions) version of Geriatric Depression Scale (GDS), while the shortened (11-item) version of Duke Social Support Index (DSSI) was used to measure social support. Logistic regression analysis of the data revealed that depression rate was significantly associated with the boarding house for the elderly. The following fact became obvious: the elderly people, who actually do not leave the house, had more symptoms of depression than those who often walked to park. As for gender differences, female participants had higher rates of depression, than males. We were assuming that social support would be more strongly associated with depression, compared to the other variables, although data analysis did not confirm our assumptions. Social support was significantly inferior to location factor and the boarding house vs. house factors, as well as gender indicators. We did not find significant connection between depression symptoms and the rest of the variables. The main flaw of the research was a small number of its participants. It is possible to substantially increase the number of participants in the future, and refine research design. Consequently, the results will be more interesting and informative.

ევოლუციური პარადიგმა ფსიქოლოგიაში

ირაკლი ქავთარაძე

სოციალურ მეცნიერებებში და, მათ შორის, ფსიქოლოგიაში, დიდი ხნის განმავლობაში გავრცელებული იყო პარადიგმა, რომელსაც ჯონ ტუბი და ლიდა კოსმიდესი სოციალური მეცნიერებების სტანდარტულ მოდელს (Standard Social Science Model) უწოდებენ. ამ მოდელის მიხედვით, ადამიანი 'სუფთა დაფად' განიხილება, რომელსაც კულტურა აყალიბებს და მისი ქცევა და კოგნიცია სოციალური კონსტრუქციაა. ამ პარადიგმაში ადამიანის ბუნება არ არსებობს, ვინაიდან განსხვავებული კულტურები განსხვავებულ ინდივიდებს აყალიბებს. ასეთი ხედვა ნელ-ნელა შეცვალა სოციობიოლოგიის გაჩენამ სამოციან წლებში და ოთხმოცდაათიან წლებში - ევოლუციური ფსიქოლოგიის განვითარებამ. ევოლუციური ფსიქოლოგია ადამიანის მახასიათებლებს ადაპტაციურ ჭრილში განიხილავს და სვამს კითხვას, შესაძლოა თუ - არა, რომ გარკვეული მახასიათებელი პრეისტორულ გარემოში ადაპტაციური ყოფილიყო. ევოლუციურ პარადიგმაში, ადამიანი სხვა ძუძუმწოვრებს შორის ერთ-ერთი სახეობაა და მისი ქცევების ახსნა ზოგადი ევოლუციური თეორიებით შესაძლებელია. ასეთი ხედვა სოციალური მეცნიერებების

სტანდარტულ მოდელში არ მოიაზრებოდა. მე განვიხილავ იმ კვლევებს და თეორიებს, რომელთა საფუძველზეც ფსიქოლოგიაში არსებული ძირითადი საკითხების გადააზრება მოხდა. მათ შორისაა მორალის ფსიქოლოგია, ჯგუფური პროცესები, სექსუალობა, ფსიქიკური დარღვევები და სხვა. ევოლუციურ ფსიქოლოგიაში მიმდინარე კვლევების განხილვით ვაჩვენებ, რომ ფსიქოლოგიური მეცნიერება ამ დარგში ევოლუციური პერსპექტივის შემოტანით მხოლოდ სარგებელს ნახავს.

EVOLUTIONARY PARADIGM OF PSYCHOLOGY

Irakli Kavtaradze

It has been long since the paradigm, what John Tooby and Lida Cosmides call a Standard Social Science Model, has been a popular paradigm in social sciences, including psychology. According to the model, a person is regarded as “blank slate”, and his behavior and cognition are social constructions formed by the culture. The paradigm does not acknowledge any human nature because different cultures shape different individuals. This view was gradually replaced, first, by the emergence of sociobiology in the 1960's and, then, by the development of evolutionary psychology in the 1990's. Evolutionary psychology discusses human characteristics in the light of adaptation, and poses the question whether it is possible that certain characteristics were adaptive in the prehistoric environment. Evolutionary paradigm regards people as one species among other mammals whose behavior can be explained by the general theory of evolution. This view has not been considered in the Standard Social Science Model. I will review the studies and theories which laid the foundation for reinterpretation of the major issues in psychology. Among them are psychology of morality, group processes, sexuality, mental disorders, etc. By reviewing current studies in evolutionary psychology, I will show that through introducing the evolutionary perspective in its field, psychological science will only benefit.

პიროვნების ავერსიული მახასიათებლების მიმართება შემოქმედებით აზროვნებასთან

ნათია სორდია, ხათუნა მარწყვიშვილი

შემოქმედებითი აზროვნება ახალი, ორიგინალური და საზოგადოებისთვის ღირებული იდეების ჩამოყალიბებასა და ასეთივე პროდუქტის შექმნას გულისხმობს. შესაბამისად, აქტუალურია შემოქმედებითი ადამიანებისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა განსაზღვრა. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს შემოქმედებითი აზროვნების მიმართების შესწავლას პიროვნების ავერსიულ მახასიათებლებთან - ბნელი ტრიადის (ნარცისიზმი, მაკიაველიზმი, ფსიქოპათია) პიროვნულ ნიშნებთან - ზოგადი ინტელექტისა და ბაზისური პიროვნულ ნიშნების კონტროლის ფონზე. კვლევის მონაწილეებმა (18-37 წწ) შეავსეს შემოქმედებითი აზროვნების საკვლევი ინსტრუმენტები (კრეატიული აქტივობებისა და მიღწევის სკალა, შემოქმედებითი პოტენციალის საკვლევი ტესტი) პიროვნების ავერსიული მახასიათებლების, პიროვნული ნიშნებისა და ინტელექტის საკვლევ ინსტრუმენტებთან ერთად. კვლევის შედეგების თანახმად, ბნელი ტრიადის, როგორც კომპოზიტის, ისე ცალკეულ ნიშანთა კავშირი შემოქმედებით აზროვნებასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანია. ამ კავშირის სპეციფიკაზე გავლენას ახდენს პიროვნული ნიშნები. კერძოდ, გამოცდილებისადმი ღიაობა და ექსტრავერსია წარმოადგენენ მოდერატორებს - მათი მაჩვენებლების ზრდასთან ერთად, იზრდება ბნელი ტრიადის მიერ შემოქმედებითი მიღწევების პრედიქციის უნარი. ინტელექტის კოეფიციენტის მაჩვენებელი არ ცვლის არც ბნელი ტრიადის, როგორც კომპოზიტის და არც ცალკეულ ნიშანთა მიმართებას შემოქმედებით აზროვნებასთან. ე.წ. შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლებს ავერსიული პიროვნული ნიშნების უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე შემოქმედებითობასთან ნაკლებად დაკავშირებული პროფესიის წარმომადგენლებს. კრეატიულობასა და ბნელ ტრიადას შორის ურთიერთმიმართებისა და შემოქმედებითი ადამიანებისთვის დამახასიათებელ თავისებურებათა ცოდნა წარმოდგენას გვიქმნის თანამედროვე რეალობაში აქტუალური და მოთხოვნადი პიროვნული მახასიათებლების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც შემოქმედებითი უნარებით გამორჩეული ადამიანები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში.

AVERSIVE PERSONALITY CHARACTERISTICS AND CREATIVE THINKING

Natia Sordia, Khatuna Martskvishvili

Creative thinking means forming new and original ideas, and creating similar products, valuable to a society. Therefore, it is important to determine specific features typical to creative individuals. The present study aims to explore relationship between creative thinking and aversive personality characteristics, that is, the dark triad (narcissism, Machiavellianism, and psychopathy). The general intelligence and basic personality characteristics were controlled. The research participants (18-37 years old) filled out survey instruments measuring creative thinking (creative activities and achievement scale, the creative potential test), aversive personality characteristics, personality traits and intelligence study instruments. According to the research, relationship between the dark triad as a composite, as well as its components, and creative thinking is statistically significant. This relationship is influenced by personality characteristics. In particular, the relationship is moderated by the openness to experience and extraversion: when their indices increase, the dark triad's ability to predict creative achievements is growing. Intelligence coefficient indicator does not change the relationship between creative thinking and dark triad, neither when the latter is as a composite, nor when it is represented as separate traits. The people with so-called creative professions have higher rates of aversive personality characteristics than those with less creative professions. Studying relationships between creativity and the dark triad, as well as traits characteristic to creative people provides us with information about the personal characteristics that are in demand in modern world. And such knowledge is important inasmuch as people who are distinguished with their creative skills play an important role in social, economic, political and cultural development of the country.

სესია 1.2

სენსორული ინტეგრაციის პროგრამის გავლენა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვების დასწავლის პროდუქტულობაზე

თამარ გვენეტაძე, თინათინ ჭინჭარაული

აუტიზმის სპექტრის დარღვევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქციის დეფიციტთან ერთად შეზღუდული, განმეორებადი ქცევა, ინტერესები ან აქტივობები წარმოადგენს. აღნიშნულის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სტერეოტიპული, განმეორებადი მოტორული მოძრაობები. სენსორულ სტიმულებზე ჰიპო ან ჰიპერ სენსიტიურობა ან გარემოს სენსორული ასპექტებისადმი უცნაური ინტერესი ასევე აუტიზმის სპექტრის დამახასიათებელ ნიშნად განიხილება (Goldstein et al., 2011). ბავშვი ცდილობს გარემოდან მიღებული სენსორული სტიმულებისგან გამოწვეული დისკომფორტის თავიდან არიდებას, „შიმშილის“ დაკმაყოფილებას სხვადასხვა გზით, მათ შორის განმეორებადი, სტერეოტიპული მოქმედებებით. კვლევები მოწმობს, რომ სენსორული ინტეგრაციის დარღვევა დასწავლის უნარის გაუარესებასთანაა დაკავშირებული (Hilton, 2011). მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენდა აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვებში სენსორული ინტეგრაციის პროგრამასა და დასწავლის პროდუქტულობას შორის კავშირის შესწავლა. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სენსორული ინტეგრაციის მსგავსი პროფილის მქონე 20-მა ბავშვმა აუტიზმის სპექტრის დარღვევით; მათი შეფასება განხორციელდა სენსორული ინტეგრაციის პროფილისა (ITSP) და აუტიზმის სპექტრის შეფასების სკალების (ASRS) გამოყენებით. 10 ბავშვი (ექსპერიმენტული ჯგუფი) ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებული თერაპიის გარდა ჩართული იყო სენსორული ინტეგრაციის პროგრამაში, 10 ბავშვი (საკონტროლო ჯგუფი) - ღებულობდა მხოლოდ ქცევის გამოყენებით ანალიზზე დაფუძნებულ თერაპიას. დასწავლის პროდუქტულობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა უნარის ასათვისებლად საჭირო სესიების რაოდენობა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ

სენსორული ინტეგრაციის პროგრამა გავლენას ახდენს დასწავლის პროდუქტულობაზე, მეტიც ზრდის მის პროდუქტულობას, რასაც ადასტურებს უნარების ათვისებისთვის საჭირო გაცილებით ნაკლები დრო იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ჩართულები იყვნენ სენსორული ინტეგრაციის პროგრამაში.

IMPACT OF SENSORY INTEGRATION PROGRAM ON LEARNING PRODUCTIVITY OF THE CHILDREN WITH AUTISM SPECTRUM DISORDER

Tamar Gvenetadze, Tinatin Tchintcharauli

One of the most important characteristics of the autism spectrum disorder is restricted and repetitive behavior, interests and activities combined with interaction and social communication deficit. The most widespread form of this characteristic is stereotypical, repetitive movements, as well as hypo or hyper sensitivity or awkward interest to environmental sensor stimuli (Goldstein et al., 2011). A child tries to avoid discomfort created by environmental sensory stimuli; satisfy "hunger" via various ways, via repetitive, stereotypical behaviors among them. Studies show that sensory integration disorder is related with decreased learning ability (Hilton, 2011). The current study aims to investigate the influence of sensory integration program on learning productivity in children with the autism spectrum disorder. 20 children with the autism spectrum disorder having similar sensory integration profiles participated in the study. Evaluation was carried out by the infant/toddles sensory profile (ITSP) and the autism spectrum rating scales (ASRS). 10 children received only behavioral therapy services, while the other 10 received sensory integration program service in addition to the behavioral therapy services. The study revealed that sensory integration program affects learning productivity, moreover, it increases its productivity as evidenced by much less time required for learning for children who received sensory integration program service.

ემოციური გადაწვა ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან მომუშავე ფსიქოლოგებში

სალომე გაფრინდაშვილი, თინათინ ჭინჭარაული

ბავშვებს ფსიქიკური დარღვევებით განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ, რაც მათთან მუდმივ მუშაობას მოითხოვს. სამუშაო საკმაოდ სტრესულია. პროფესიონალები, რომლებიც ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან მუშაობენ, ჩართულნი არიან ემოციურ შრომაში, რაც ზრდის ემოციური გადაწვის რისკს. კვლევის მიზანი იყო დაედგინა, თუ რა მსგავსება და განსხვავებაა ემოციური გადაწვის, ემოციური შრომისა და ემოციური ინტელექტის თვალსაზრისით ფსიქოლოგებსა და საბანკო სფეროში მომუშავე სპეციალისტებს შორის. კვლევა ასევე მიზნად ისახავდა დაედგინა, თუ თითოეულ პროფესიაში რა ასრულებს ემოციურ გადაწვასთან მიმართებაში დამცავი და რისკ ფაქტორების როლს. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე გამოყენებულ იქნა შემდეგი ინსტრუმენტები: MBI-მასალაჩის ემოციური გადაწვის კითხვარი, ემოციური შრომის სპეციალური 11 დებულებიანი საზომი და პეტრიდესის ემოციური ინტელექტის კითხვარი (TEIQue). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 100-მა ადამიანმა, აქედან 50 იყო ფსიქიკური განვითარების დარღვევების მქონე ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტი და 50 - საბანკო სფეროში დასაქმებული სპეციალისტი. შედეგებმა აჩვენა, რომ ფსიქოლოგებს აქვთ დეპერსონალიზაციის დაბალი, ხოლო პერსონალური კეთილგანწყობის მაღალი მაჩვენებელი ბანკში მომუშავე სპეციალისტებთან შედარებით. გამოვლინდა კორელაციური კავშირი ემოციურ გადაწვას, ემოციურ შრომასა და ემოციურ ინტელექტს შორის. აღნიშნულის საფუძველზე ზედაპირული შრომა წარმოადგენს რისკს, ხოლო ემოციური ინტელექტი დამცავ ფაქტორს პროფესიულ გადაწვასთან მიმართებაში.

EMOTIONAL BURNOUT OF PSYCHOLOGISTS WORKING WITH CHILDREN WITH DEVELOPMENTAL DISABILITIES

Salome Gaprindashvili, Tinatin Chincharauli

The children with psychic disorders have special needs that require continuous work with them. The work is quite stressful. Professionals working with children with psychic developmental disorders are involved in emotional labor, which increases the risk of their emotional burnout. The goal of the study was to determine the similarities and differences in terms of emotional burnout, emotional labor and emotional intelligence between psychologists and banking specialists. Additionally, the study aimed to find out the protective and risk factors for emotional burnout within each profession. The following instruments were selected according to the study questions: MBI – Maslach Emotional Burnout Inventory, specific 11-item questionnaire for emotional labor, and Emotional Intelligence Questionnaire by Petrides (TEIQue). 100 people participated in the study, 50 of them were working with children with developmental disorders and 50 were working in the banking sector. The results showed that psychologists have lower rates of depersonalization and higher rates of personal goodwill in comparison to banking specialists. The study identified correlation between emotional burnout, emotional labor and emotional intelligence. Based on the results, superficial work involves the risk, while emotional intelligence is a protecting factor with respect to professional burnout.

სენსორული ინტეგრაციის დარღვევა და განმეორებადი ქცევები დაუნის სინდრომის მქონე და აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში

სალომე მინდორაშვილი, თინათინ ჭინჭარაული

აუტიზმისა და დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია განმეორებითი ქცევები და სტერეოტიპები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ ბავშვის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. სტერეოტიპების დროს ბავშვი წყვეტს გარემოსთან კონტაქტს, შესამაბისად, რთულდება მისი ყურადღების მიქცევა, უარესდება დასწავლის პროცესი და გარემოში ადაპტური ფუნქციონირება. არსებული ლიტერატურის თანახმად არსებობს ურთიერთკავშირი აუტიზმის მქონე ბავშვთა სენსორული ინტეგრაციის დარღვევის დონესა და მათთვის დამახასიათებელ სტერეოტიპებს შორის. თუმცა, არ არსებობს კვლევა დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა სენსორული ინტეგრაციის პროფილის შესახებ და ახდენს თუ არა იგი გავლენას სტერეოტიპებზე. ქვემოთ მოცემული კვლვევის ფარგლებში ჩვენ ვიკვლიეთ 30 აუტიზმისა და 30 დაუნის სინდრომის მქონე ბავშვის სენსორული ინტერაციის დარღვევასა და განმეორებად ქცევებს შორის კავშირი, ასევე მათი ფუნქციონირების დონის გავლენა განმეორებად ქცევებზე. ბავშვების შესაფასებლად და ცვლადების გამოსაყოფად გამოყენებულ იქნა სენსორული პროფილის შესაფასებელი კითხვარი (ITSP), აუტიზმის სპექტრის რეიტინგული სკალები (ASRS), განმეორებადი ქცევების კითხვარი - 2 (RBQ-2) და აუტიზმის მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებელი კითხვარი (ATEC). კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სენსორული ინტეგრაციის დარღვევა წარმოადგენს განმეორებადი ქცევების პრედიქტორს როგორც აუტიზმის, ასევე დაუნის სინდრომის შემთხვევაში. ასევე, აღმოჩნდა, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთა ფუნქციონირების დონე დადებით კორელაციაშია განმეორებითი ქცევების გამოვლენასთან.

THE SENSORY INTEGRATION DISORDERS AND REPETITIVE BEHAVIORS AMONG CHILDREN WITH DOWN SYNDROME AND AUTISTIC SPECTRUM

Salome Mindorashvili, Tinatin Chincharauli

Most children with autism and Down syndrome are characterized by repetitive behaviors and stereotypes that affect the child's daily functioning. The stereotypes cause ceasing contact with the environment, and, thus, it is complicated to attract child's attention, and learning process and adaptive functioning in the environment deteriorate. Current literature shows that there is a relationship between the sensory integration disorder in children with autism and their specific stereotypes. However, there is no research on sensory integration of children with Down syndrome and whether it affects their stereotypes. We studied relationship of sensory integration disorders with repetitive behaviors, as well as their impact on the functioning of repetitive behaviors in 30 children with Down syndrome and 30 children with autism. Instruments used to assess the children and to allocate variables were Sensory Profile Questionnaire (ITSP), Autism Spectrum Rating Scales (ASRS), Repetitive Behaviors Questionnaire - 2 (RBQ-2), and Autism Treatment Evaluation Checklist (ATEC). Study revealed that sensory integration disorder is a predictor of repetitive behavior, both in cases of autism and Down syndrome. Also, it was found that the level of functioning of children with Down syndrome positively correlates with repetitive behaviors.

მე-ს ხატის ცვლილება ფორმალური დებატების ტექნიკის სწავლების გზით

თინათინ ცერცვაძე

კვლევა ეხება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდება ფორმალური დებატების სწავლების გზით, ქართველ სტუდენტებში თვითხატის ის პარამეტრები, რომლებიც პიროვნების განვითარების განმავლობაში განიცდიან ცვლილებას. თვითხატში ვგულისხმობ შემდეგი ტიპის თვითობის მახასიათებლებს: თვითმონიტორინგს, თვითპრეზენტაციას, თვითკონტროლს. ფორმალური დებატების სწავლება არის 60 საათიანი სასწავლო კურსი, რომელიც 2011 წლიდან დღემდე ადაპტირდება საქართველოს 8 უნივერსიტეტში და უკვე 16 წელიწადზე მეტია ხორციელდება აშშ-სა და ევროპის წამყვანი ქვეყნების (მაგ.: ჰარვარდის, ოქსფორდის) უნივერსიტეტებში. კვლევაში ჩართულები არიან და მხარს უჭერენ გერმანიაში არსებული დებატების ორგანიზაციები, საერთაშორისო დებატების საგანმანათლებლო ასოციაცია, გერმანიის ფრანკფურტის და ლაიპციგის უნივერსიტეტები. კვლევის ამოცანაა გავიგოთ, თუ რამდენად ხანგრძლივია დროში ის ცვლილებები, რასაც დებატების სასწავლო კურსი მყისიერად იძლევა ახალგაზრდებში. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს 2 (თბილისის და ახალციხის) უნივერსიტეტის სტუდენტები, რომლებზეც ჩატარდა რაოდენობრივი კვლევა. ჩატარებული კვლევის შედეგები დამუშავდა სტატისტიკურად და მიღებული მონაცემების მიხედვით გაირკვა, რომ ყველა ექსპერიმეტულ ჯგუფში იყო სტატისტიკურად სანდო ცვლილება სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სამივე კომპონენტში: თვითმონიტორინგს, თვითპრეზენტაციასა და თვითკონტროლში.

CHANGE OF THE SELF-IMAGE THROUGH TEACHING THE FORMAL DEBATES TECHNIQUES

Tinatin Tsertsvadze

The study aims to clarify how teaching the formal debates to Georgian students develops the self-image parameters that are subject to changes during personality development. The following characteristics are implied by the "self-image": self-monitoring, self-presentation, and self-control. Formal debates teaching is a 60-hour course that has been adapted in eight Georgian universities since 2011 and is already being carried out at the leading universities of the United States and Europe (e.g.: Harvard, Oxford) for more than 16 years now. The International Debate Education Association, Germany-based debate organizations, German universities of Frankfurt and Leipzig are involved in and support the study. The research goal was to understand exactly how extensive are the changes that are instantly provided to young people during the debate course. The target group for this quantitative research were students from two Georgian universities (Tbilisi and Akhaltsikhe). Research results were statistically analyzed, and the data revealed that there were statistically reliable changes after completing the studies in every experimental group across all the three components: self-monitoring, self-control and self-presentation.

სესია 2.1

რელიგიურობა და წინარწმენები

ირინა ვარდანაშვილი

კვლევა ეხება რელიგიურობის კავშირს უმცირესობათა განსხვავებული ჯგუფების მიმართ წინარწმენებთან, რომლებიც სოციალური დისტანციით გავზომე. იყო მოლოდინი, რომ რელიგიურობის კავშირი უმცირესობათა განსხვავებული ჯგუფების მიმართ დაოკიდებულებასთან განსხვავებული იქნებოდა. კერძოდ, ისეთი ჯგუფების მიმართ, რომლებიც მარგინალიზებულია რელიგიურ წრეებში (რელიგიური უმცირესობები ან ჰომოსექსუალები) ეს კავშირი იქნებოდა დადებითი, ხოლო ისეთი ჯგუფების მიმართ, რომელთა საწინააღმდეგოდ ეკლესია არ ქადაგებს (მაგალითად უნარშეზღუდულები), ეს კავშირი იქნებოდა ნაკლებად გამოხატული. კვლევამ აჩვენა, რომ რაც უფრო მაღალია რელიგიურობის მაჩვენებელი, მით უფრო მაღალი სოციალური დისტანცია არსებობს უმცირესობათა რვა ნაკვლევი ჯგუფიდან შვიდის მიმართ. ესენია: მუსლიმები, კათოლიკეები, ჰომოსექსუალი ქალები, ჰომოსექუალი მამაკაცები, სომხები, ბერძნები, შიზოფრენიით დაავადებულები. მათ შორის, კორელაცია ყველაზე მაღალი იყო ჰომოსექსუალი ქალების და ჰომოსექსუალი მამაკაცების შემთხვევაში. მხოლოდ ერთი ჯგუფის - ეტლზე მიჯაჭვული პირების მიმართ სოციალური დისტანციის შემთხვევაში არ გამოვლინდა რელიგიურობასთან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაცია.

RELIGIOSITY AND PREJUDICES

Irina Vardanashvili

The study is concerned with the relation between religiosity and prejudices towards different minority groups measured with Social Distance Scale. There was an expectation that relation between religiosity and attitude towards the members of different minority groups would be different. Specifically, it was hypothesized that this relationship would be positive to the groups which are marginalized in religious communities (religious minorities or homosexuals), while this relationship would be less expressed to those groups which the Church does not preach against (e.g., people with disabilities). The study found that the higher the rate of religiosity, the greater the social distance towards seven minority groups out of total of eight groups studied. These groups are Muslims, Catholics, homosexual women, homosexual men, Armenians, Greeks, and people with schizophrenia. The highest correlation was found towards homosexual women and homosexual men. Statistically significant correlation between religiosity and social distance was not identified only in case of one group – wheelchair users.

ბაზისური ღირებულებები და ეთიკური იდეოლოგია

მარიამ კვიციანი, მაია მესტვირიშვილი

კვლევის მიზანს წარმოადგენს იმ ბაზისურ ღირებულებათა სისტემების იდენტიფიკაცია (თვითგაძლიერება, კონსერვაცია, თვითტრანსცენ-დენტურობა, ცვლილებისადმი ღიაობა) რაზეც შენდება ეთიკური იდეოლოგიის ტიპები (სიტუაციონიზმი, აბსოლუტიზმი, სუბიექტივიზმი, ექსეფციონიზმი). ამასთან ნაკვლევია ფსიქოლოგიური მოქნილობის და მიმღებლობის როლი ამ პროცესში. კვლევაში მონაწილეობას იღებდა სულ 370 ადამიანი. შედეგებმა აჩვენა, რომ მაღალი მორალური აბსოლუტიზმის მაჩვენებელი (სიტუაციონიზმი, აბსოლუტიზმი) თვით-ტრანსცემდენტულობისა და კონსერვაციის ღირებულებათა სისტემებ-თანაა დაკავშირებული, ხოლო მაღალი რელატივიზმის მაჩვენებელი - ცვლილებისადმი ღიაობასთან. ლოჯისტიკურმა რეგრესიამ აჩვენა, რომ მორალური ორიენტაციის ყველაზე ძლიერი პრედიქტორი კონსერ-ვაციაა. ასევე, აღმოჩნდა, რომ ფსიქოლოგიური მოქნილობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბაზისურ ღირებულებთან. მრავალმხრივმა იერარქიულმა რეგრესიამ ანახა, რომ თვითტრანსცენდენტულობას და ცვლილებისადმი მზაობას ყველაზე ძლიერი პრედიქტორული ღირებულება აქვთ როგორც ფსიქოლოგიური მოქნილობის, ასევე უპირობო თვითმიღების წინასწარმეტყველებისას. ფსიქოლოგიურ მოქნილობასა და სიტუაციონიზმს შორის დაფიქსირდა სუსტი დადებითი კავშირი, ხოლო ექსეფციონიზმსა და ფსიქოლოგიურ მოქნილობას შორის სუსტი უარყოფითი კავშირი.

BASIC VALUES AND ETHICAL IDEOLOGY

Mariam Kvitsiani, Maia Mestvirishvili

The research goal was to identify the basic value system (self-empowerment, conservation, self-transcendence, openness to change) that serve as a basis for ethical ideology types (situationism, absolutism, subjectivism, acceptionism). In addition, we studied psychological flexibility and role acceptance in this process. A total of 370 people participated in the study. The results showed that the high moral absolutism (situationism, absolutism) was associated with self-transcendence and conservation value systems, while high rate of relativism was coupled with openness to change. Logistic regression showed that conservation is the most powerful predictor for moral orientation. We also found that psychological flexibility is closely related to basic values. Hierarchical multiple regression demonstrated that self-transcendence and willingness to change have the most powerful predicting value for psychological flexibility, as well as for unconditional self-acceptance. Weak positive relationship was reported between psychological flexibility and situationism, and weak negative relationship – between acceptionism and psychological flexibility.

ქართველთა მიგრაცია პორტუგალიაში სოციალური ქსელები და ეთნიკური იდენტობა

ეკატერინე ფირცხალავა

კვლევაში ნაჩვენებია საქართველოდან პორტუგალიაში მიგრაციის შემდეგ ახალ სოციალურ გარემოში ქართველების ადაპტაციისა და ინტეგრაციის პროცესი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მსგავსად დამოუკიდებელი გახდა და დემოკრატიული გარდაქმნების პროცესში ჩაერთო. ეს პროცესი არ აღმოჩნდა ადვილი, საქართველო სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რამაც საქართველოდან მოსახლეობის მასიური მიგრაცია გამოიწვია. მოცემულ ნაშრომში ნაკვლევია პორტუგალიაში მცხოვრები ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელები. სიღრმისეული ინტერვიუების დროს მიღებული მასალების საფუძველზე, გაანალიზებულია ქართველი მიგრანტების სოციალური ქსელების სხვადასხვ ასპექტი, ნაჩვენებია, სოციალური ქსელები პორტუგალიის, როგორც მიგრაციის ქვეყნად არჩევის მიზეზი, გენდერული სხვაობა სოციალური ქსელების არჩევის დროს. ქართველი მიგრანტების სოციალურ ქსელების ისეთი მახასიათებელი, როგორიცაა სოლიდარობა და რეციპროკულობა და ასევე ეთნიკური იდენტობა.

Georgian Migration to Portugal Social Networks and Ethnic Identity

Ekaterine Pirtskhalava

The study describes the processes of adaptation of Georgian migrants in Portugal. After the collapse of the Soviet Union many of the former Soviet republics have become independent and begun their journey to a democratic society. However, this process has been rather difficult and the new independent states, including Georgia, have ended up in difficult economic situations. Economic difficulties have led to the highest levels of out-migration from Georgia. Economic crisis has been exacerbated by political turmoil and a violent conflict with Russia. A volatile political situation and a worsening of socioeconomic picture have incited the continuation of migration processes from Georgia. A recent study shows how Georgian migrants settled down in Portugal. It also explains why Portugal had been the country of their choice and how they had adapted and integrated in the Portuguese society. Also, the paper focuses on the type of interactions and social networks which Georgian migrants make use of in the country of destination. It assesses how they find housing and jobs and the way they build support. Based on in-depth interviews with migrants who live in Portugal, the paper explores the issue of social relations, social network and ethnic identity among Georgian migrants.

მულტიკულტურული ღირებულებები და ეთნიკური მიკუთვნებულობა

ნინო ბუწაშვილი

მოხსენებაში განხილული იქნება მულტიკულტურულ ღირებულებებსა და ეთნიკურ მიკუთვნებულობას შორის კავშირი. მულტიკულტურული იდეოლოგია მეოცე საუკუნის სამოცდაათიან წლებში განვითარდა ასიმილაციის და სეპარაციის იდეოლოგიების საპირისპიროდ, რათა ხელი შეეწყო კონკრეტულ სახელმწიფოებში კულტურული მრავალფეროვნებისადმი დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბების და ეთნიკური უმრავლესობის და იმიგრანტების მშვიდობიანად თანაცხოვრებისთვის. იდეოლოგიაში განსაზღვრული იყო, რომ უმრავლესობის ჯგუფის წევრებს, რომელთაც მაღალი იდენტიფიკაციის გრძნობა ჰქონდათ საკუთარი ჯგუფისადმი, ასევე, შეეძლოთ მხარი დაეჭირათ კულტურული მრავალფეროვნებისთვის თავიანთ სახელმწიფოში. თუმცა, ეს მოსაზრება ეჭქვეშ დადგა ნიდერლანდებში ჩატარებული კვლევების მიხედვით. ამ კვლევებით დადგინდა, რომ უმრავლესობისთვის წევრებში მაღალი ეთნიკური მიკუთვნებულობა

ასოცირდებოდა დაბალ მულტიკულტურალ ღირებულებებთან. იგივე შედეგი განმეორდა საქართველოში, ეთნიკურად ქართველ მოსწავლეებზე, ჩატარებული კვლევაშიც. ეთნიკური მიკუთვნებულობა უარყოფითად დაუკავშირდა მულტიკულტურულ ღირებულებებს. ეს შედეგი კი განსაკუთრებით საინტერესოა, თუ მას საქართველოს ისტორიულ და სოციო-ეკონომიკურ კონტექსტში განვიხილავთ.

MULTICULTURAL VALUES AND ETHNIC BELONGING

Nino Butsashvili

The paper deals with the relationship between multicultural values and ethnic belonging. Multicultural ideology was developed in the 1970's of the 20th century as an opposite to assimilation and separation ideologies in order to promote shaping positive attitudes towards cultural diversity in certain countries and to ensure the peaceful coexistence of ethnic majority and immigrants. The ideology argued that the majority group members, who had a high sense of identification with their own group, could support the cultural diversity of their country. However, this assumption became dubious as a result of the studies conducted in Netherlands, revealing that for the members of majority group, the high ethnic belonging was associated with lower multicultural values. The same result was demonstrated in Georgia in the study with ethnic Georgian students. Ethnic belonging was negatively associated with multicultural values. The result becomes particularly interesting if we explore it in the historical and socio-economic context of Georgia.

წინარწმენის წინასწარმეტყველება: ღირებულებები და ეთნოცენტრიზმი

ანა მაყაშვილი

წინარწმენა რაიმე ნიშნით გამორჩეული ჯგუფის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებებს გულისხმობს. უზნაძისეულ განწყობასთან გარკვეული ფონო-სემანტიკური მსგავსების მიუხედავად, რომელიც, პრაქტიკულად, შუამავალი ცვლადია გარემოსა და ქცევას შორის, წინარწმენა ემპირიული კვლევებისა და თეორიული ლიტერატურის თანახმად, უფრო საბოლოო – დამოკიდებულ – ცვლადად განიხილება და მასზე ისეთი მრავალფეროვანი ფაქტორები ახდენს გავლენას, როგორიცაა პოლიტიკური და სოციო-ეკონომიკური კონტექსტი, ისტორიული ფონი, სოციო-კულტურული ფაქტორები, გარე-ჯგუფთან კონტაქტის გამოცდილება და გარკვეული პიროვნული მახასიათებლები. წარმოდგენილი კვლევა სწორედ ამ უკანასკნელის როლს სწავლობს წინარწმენაში. კერძოდ, იკვლევს, რა წვლილი შეაქვს ეთნოცენტრულ დისპოზიციებსა და ცალკეულ ღირებულებებს წინარწმენაში. საინტერესოა, რომ ღირებულებები – მოტივაციური ფუნქციის მქონე პიროვნული რწმენები, რომლებიც გავლენას ახდენს პიროვნების მიერ ქცევათა არჩევასა და მოვლენების შეფასებებზე – განწყობასთან უფრო ახლო მდგომი ცვლადია. რეგრესიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ წინარწმენაში მნიშვნელოვანი წვლილი ტრადიციასა და უნივერსალიზმთან დაკავშირებულ ღირებულებებს შეაქვს. პირველი დადებითადაა დაკავშირებული წინარწმენასთან, მეორე კი უარყოფითად. წინარწმენის წინასწარმეტყველებაში ანალიზმა ეთნოცენტრიზმის პროგნოსტული როლიც დაადასტურა. გარდა ამისა, კვლევამ აჩვენა გენდერული სხვაობები ცალკეული ღირებულებებისა და ეთნოცენტრიზმისთვის (მაგ.: კაცებს უფრო მაღალი ეთნოცენტრიზმი აქვთ) და კორელაციური მიმართებები პიროვნების რელიგიურობის დონესა და განხილულ ცვლადებს შორის (მაგ.: რაც უფრო რელიგიურია ადამიანი, მით უფრო მაღალი აქვს ეთნოცენტრული დისპოზიციებიცა და წინარწმენაც).

PREDICTING PREJUDICE: VALUES AND ETHNOCENTRISM

Ana Makashvili

Prejudice is a negative attitude towards a distinguishable group. Regardless certain phono-semantic similarity with Uznadze's disposition which is virtually an intermediary variable between environment and behavior, Prejudice, according to empirical studies and theoretic literature, is chiefly regarded as an outcome – dependent – variable and is influenced by a vast array of factors such as political and socio-economic context, historical background, socio-cultural processes, experience of contact with an out-group and certain personality characteristics. The given paper explores the role of the latter in forming prejudice. Namely, it studies to what extent do ethnocentric predispositions and specific values contribute to prejudice. Interestingly, values – personal beliefs with motivational functions that influence how people choose their actions and evaluate things – stand closer to the concept of disposition. Regression analysis showed that values related to tradition and universalism largely contribute to prejudice. The first is positively associated with prejudice, while the other has negative significance. Analysis confirmed the prognostic role of ethnocentrism in predicting prejudice. Additionally, the study revealed gender differences for certain values and ethnocentrism (e.g., men show higher rates of ethnocentrism) and correlations between levels of religiosity and abovementioned variables (e.g., the more religious a person, the higher the rates for, both ethnocentric predispositions and prejudice).

სესია 2.2

მასტერ ნარატივის ინტეგრაციული თეორიული ჩარჩო: ქართული ილუსტრაცია

ლილი ხეჩუაშვილი

ნაშრომში განხილულია მაკლინისა და საიედის ახლახანს შემოთავაზებული მასტერ ნარატივის მოდელი ქართული კულტურის მაგალითზე, კერძოდ, აღწერილია მასტერ და ალტერნატიული ნარატივების მოდელი, მასტერ ნარატივის იდენტიფიცირების კრიტერიუმები (სარგებლიანობა, საყოველთაობა, უჩინრობა, სავალდებულო ხასიათი და რიგიდულობა) და ნარისახეობები (ბიოგრაფიული, ეპიზოდური და სტრუქტურული); ინდივიდუალური და კულტურული შრეების ურთიერთმიმართების დინამიკა, რომელიც მოლაპარაკების/შეთანხმებისა და ინტერნალიზაციის პროცესების მეშვეობით ხორციელდება. ასევე, განხილულია მასტერ ნარატივის შერეული მეთოდოლოგიით შესწავლის გზები, როგორიცაა, არტეფაქტების და ყოველდღური დიალოგების ანალიზი, მარგინალიზებული ან რაიმე ნიშნით გამორჩეული ჯგუფებისა და ემიგრანტების მიზნობრივი კვლევა, განსხვავებული და უჩვეულო ცხოვრებისეული მომენტების შესწავლა და პერსონალური ნარატივის აშრევების ტექნიკის გამოყენება. ნაშრომში უხვად არის შემოთავაზებული საილუსტრაციო ამონარიდები კვლევის ქართველი მონაწილეების ინტერვიუებიდან და ნაჩვენებია, რომ ეს მოდელი, რომელიც ძირითად აქცენტს მე-სა და საზოგადოების ურთიერთქმედებასა და პიროვნული იდენტობის აგებისას კულტურის მხრიდან ინდივიდუალური აგენტობის შეზღუდვებზე აკეთებს, კულტურულად ინვარიანტულია; მიუხედავად ამერიკული წარმოშობისა, შესაძლებელია ამ მოდელის ამერიკულისგან ისეთი განსხვავებული კულტურისთვის და კონტექსტისთვის მორგება, როგორიც ქართულია.

INTEGRATIVE THEORETICAL FRAMEWORK OF MASTER NARRATIVE: GEORGIAN ILLUSTRATION

Lili Khechuashvili

The paper discusses master narrative model recently proposed by McLean and Syed using example of Georgian culture. In particular, it describes the master and alternative narrative models, master narrative identification criteria (usefulness, universality, invisibility, binding force and rigidity), and its varieties (biographical, episodic and structural); and the relationship dynamics between the individual and cultural layers that is carried out through negotiation/agreement and internalization processes. Also, it discusses the ways of research using mixed methodology of master narrative, such as artifacts and everyday dialogues analysis, targeted research of marginalized groups and immigrants, study of different and unusual moments of life, personal narrative layering techniques. The study is richly illustrated with excerpts from interviews with Georgian participants, and shows that the model, with its main focus on self and community interaction, constructing personal identity with individual agency restrictions by culture, is culturally invariant. Despite the American origin, the model can be adjusted to the culture and the context different from American, such as Georgian.

ცხოვრების კულტურული სკრიპტი: ქართული ვერსია

გიორგი ჭუმბურიძე, ლილი ხეჩუაშვილი

კვლევა მიზნად ისახავდა ქართული კულტურული სკრიპტის დადგენას, მასში სქესისა და ასაკის მიხედვით ინდივიდუალური განსხვავებების გამოვლენას; ასევე, კვლევის მონაწილეთა მიერ დასახელებული პირადი და ზოგადი მოვლენების და ქართული სკრიპტის უცხოური სკრიპტებისათვის შედარებას. სამ ასაკობრივ ჯგუფად განაწილებულმა 270-მა მოხალისე მონაწილემ დაასახელა შვიდი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მათი აზრით მოხდებოდა რიგითი ქართველის ცხოვრებაში დაბადებიდან გარდაცვალებამდე და საკუთარ ცხოვრებაში მომხდარი/მოსახდენი ყველაზე მნიშვნელოვანი შვიდი მოვლენა. შემდეგ თითოეული მოვლენა შეაფასეს მოხდენის მოსალოდნელობის და ასაკის, მნიშვნელოვნებისა და ემოციური ასპექტის მიხედვით. მიღებული შედეგების მიხედვით, ქართული კულტურული სკრიპტი 32 მოვლენისგან შედგება და კულტურული სკრიპტის სამივე კრიტერიუმს აკმაყოფილებს. კერძოდ, (ა) მონაწილეებმა უფრო მეტი დადებითი მოვლენები დაასახელეს, ვიდრე უარყოფითი; (ბ) დადებით მოვლენებს, უპირატესად 15-30 წლის ასაკობრივ შუალედში მოელოდნენ, ხოლო უარყოფითი მოვლენები თანაბრად განაწილდა მთელი ცხოვრების განმავლობაში; (გ) დადებითი მოვლენების მოხდენის მოსალოდნელი ასაკის სტანდარტული გადახრები უფრო მცირეა, ვიდრე უარყოფითი მოვლენებისა. გარდა ამისა, დასახელებულ მოვლენებში დაფიქსირდა რამდენიმე ასაკობრივი და გენდერული განსხვავება. სტუდენტების ჯგუფმა ზოგად მოვლენებში უფრო მეტი ისეთი მოვლენა დაასახელა, რომელიც პირად ცხოვრებაში ჯერ არ ჰქონდათ განცდილი. რაც შეეხება კროსკულტურულ კონტექსტს, ქართული კულტურული სკრიპტი, მეტწილად, თანხვდება ამერიკულ, დანიურ, თურქულ და ა. შ. კულტურებში გამოვლენილ სკრიპტებს.

CULTURAL LIFE SCRIPT: THE GEORGIAN VERSION

Giorgi Tchumburidze, Lili Khechuashvili

The study aims at revealing Georgian cultural script, and establishing individual differences across gender and age. Also, it seeks to establish the differences between personal and general events, and between Georgian script and those of other cultures. 270 individuals from three age groups volunteered in the study. They listed seven most important events that would likely take place in the lifetime of common Georgian person as well as seven such events that have happened/would happen during their own lives. Then they rated each event by its predictability of occurrence, age when it is likely to occur, importance and emotional valence. The data shows that Georgian cultural script consists of 32 events, and meets three criteria of cultural script. Namely, (a) participants have named more positive events, rather than the negative ones; (b) the positive events are expected mainly in the age range of 15 to 30, while negative events are equally distributed over the lifetime; (c) the standard deviations for expected age of occurrence of positive events are smaller than for the negative events. There are several age and gender differences in the listed events. For general events, students listed mostly those events that they had not yet experienced in their personal lives. As for cross-cultural context, Georgian cultural script chiefly complies with American, Danish, Turkish and other scripts.

დროის პერსპექტივის, პიროვნული იდენტობისა და აკადემიური მოსწრების კორელაციური კვლევა სტუდენტებში

მარინე ჯაფარიძე, ირმა როსტომაშვილი

მომავლის დაგეგმვა და იდენტობის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან ამოცანებს, რომელთა წინაშეც გვიანი მოზარდები დგანან. განვითარებისა და განათლების მკვლევარებმა წინა პლანზე წამოწიეს დროის პერსპექტივის, როგორც საგანმანათლებლო მიღწევებსა და მოზარდობის პერიოდთან დაკავშირებული საკითხის მნიშვნელოვნება. წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს დაადგინოს, როგორია კავშირი დროის პერსპექტივას, პიროვნულ იდენტობასა და აკადემიურ მოსწრებას შორის. აღნიშნული საკითხი ნაკვლევი იქნა გენდერული თვალსაზრისითაც. კვლევა ჩატარდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის 159 სტუდენტთან. იდენტობის საკვლევად გამოყენებულ იქნა იდენტობის სტილების კითხვარი - ვერსია 3 (ISI-3; Berzonsky, 1992b), დროის პერსპექტივს საკვლევად - ზიმბარდოს დროის პერსპექტივის კითხვარი (ZTPI; Zimbardo & Boyd, 1999). მონაცემები დამუშავდა კომპიუტერული პროგრამის - SPSS 21 საშუალებით. კვლევამ დაადასტურა იდენტობას, დროის პერსპექტივასა და აკდემიურ მოსწრებას შორის კავშირები; დადგინდა, რომ ინფორმაციული ორიენტაციის სტილი, არჩევანის გაკეთება და აკადემიური მოსწრება დადებით კორელაციაშია მომავალი დროის პერსპექტივასთან, დიფუზური ორიენტაცია - აწმყო დროის პერსპექტივებთან. გამოვლინდა არა მხოლოდ ის ტენდენციები რაც სხვა კვლევებშიც დასტურდება, კერძოდ - სტუდენტთა მომავალზე და აწმყოზე ორიენტირებულობა, ასევე აღმოჩნდა, რომ ქართველ სტუდენტებში საკმაოდ მაღალია წარსულ-ნეგატიურ დროზე ორიენტაციაც, რაც გარკვეული ფსიქოლოგიური სერვისების აუცილებლობნაზე მიგვანიშნებს. ზოგიერთ ასპექტში გამოვლინდა გენდერული განსხვავებები.

THE CORRELATION STUDY OF TIME PERSPECTIVE, PERSONAL IDENTITY AND ACADEMIC PERFORMANCE IN STUDENTS

Marine Japaridze, Irma Rostomashvili

Future planning and identity development are important tasks faced by late adolescents. Development and education researchers highlighted the time perspective as an important issue for adolescence educational achievements. The present study aims to determine the relationship among time perspective, personal identity and academic achievement. Gender differences were also studied regarding this issue. The participants of the study were 159 undergraduate students of Ilia State University. Identity Style Inventory-Version 3 (ISI-3; Berzonsky, 1992b) was used for Identity research, and Zimbardo Time Perspective Inventory (ZTPI; Zimbardo & Boyd, 1999) was used for time perspective study. Data were processed with computer program SPSS 21. The study confirmed the relationships among identity, time perspective and academic achievement. It was found that the informative style orientation, making choices and academic performance are in positive correlation with the future time perspective, while the diffuse orientation positively correlates with present time perspective. The study revealed not only the trends confirmed by other researches (namely, that students are present- and future time- oriented), but we also found that Georgian students show quite high levels of past-time or negative orientation, indicating for the necessity of certain psychological services. Gender differences were observed in some aspects.

იდენტობის ჩამოყალიბების კავშირი მოტივაციასა და ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან

ნინო სხირტლაძე, ნინო ჯავახიშვილი

ერიკსონის თანახმად, იდენტობის ჩამოყალიბების საფეხურის წარმატებით გადალახვა დაკავშირებულია ზრდასრულობის სუბიექტურ განცდასთან, გარშემომყოფთაგან ზრდასრულად აღიარების განცდასა და ზრდასრულ გარემოში საკუთარი ადგილის პოვნასთან. წარმოდგენილი კვლევა სწავლობს ძირითადი ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, სწავლისა და მუშაობის მოტივაციის კავშირს იდენტობის ჩამოყალიბების წარმატებით გადალახვასთან. თვით-დეტერმინაციის თეორიის თანახმად, არსებობს სამი ძირითადი ფსიქოლოგიური მოთხოვნილება: ავტონომიის მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკავშირდება არჩევანის არსებობისა და პიროვნების მე-სთან კონგრუენტულობის გამოცდილებას; მიკუთვნებულობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკავშირდება სიყვარულისა და ზრუნვის გაცემისა და მიღების გამოცდილებას ურთიერთობებში; კომპეტენტურობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება უკავშირდება საკუთარი საქმიანობის შედეგისა და ეფექტურობის გამოცდილებას. პიროვნებისათვის მნიშვნელოვანი საქმიანობის (სწავლა ან მუშაობა) მოტივაცია შეიძლება იყოს თვით-დეტერმინირებული ან არა თვით-დეტერმინირებული (ინტროეცირებული და გარეგანი მოტივაცია, ამოტივაცია). კვლევაში მონაწილეობა მიიღო 397 -მა ახალგაზრდამ 17 დან 29 წლამდე. შედეგები გავაანალიზეთ სტრუქტურული განტოლების მოდელირებით, რომელმაც აჩვენა, რომ სამივე ფსიქოლოგიური მოთხოვნილების (ავტონომია, მიკუთვნებულობა, კომპეტენტურობა) დაკმაყოფილება დადებითად უკავშირდება ზრდასრულობის მიღწევას. ამასთან, თვით-დეტერმინირებული მოტივაცია პოზიტიურად, ხოლო ამოტივაცია ნეგატიურად უკავშირდება ზრდასრულობის მიღწევას, და ამ კავშირში ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ასრულებს მედიატორის ფუნქციას.

IDENTITY RESOLUTION AS A RESULT OF MOTIVATION AND PSYCHOLOGICAL NEED SATISFACTION

Nino Skhirtladze & Nino Javakhishvili

The present study examined the model where motivation to work or to study combined with the satisfaction of basic psychological needs affect identity resolution. We expected that self-determined motivation would be positively associated with adult and societal identity resolution, while non-self-determined types of motivation (introjected and external motivation and amotivation) would be negatively associated with them. Furthermore, we hypothesized that this association would be mediated by the basic psychological needs satisfaction. We measured these three variables using the Identity Resolution Scale (Côté & Mizokami, 2016); the adjusted version of Work Extrinsic and Intrinsic Motivation Scale (WEIMS) (Tremblay et al., 2009); and the Basic Psychological Need Satisfaction and Frustration Scale (Chen et al., 2015) among 397 Georgian young adults from 17 to 29 years of age. The results confirmed our hypothesis. Path analysis pointed to positive association of self-determined motivation and negative association of amotivation to all three needs. Further, introjected motivation was negatively associated and external motivation was positively associated with competence satisfaction. The results provided the unique associations of the three psychological needs to identity resolution. The self-determined motivation was positively associated, and introjected motivation and amotivation were negatively associated with identity resolution. These associations were mediated by need satisfaction.